



განაჩენი
საქართველოს სახელით

14.05.20-9 წელი

ქ. ო-----ო

ო-----ის რაიონული სასამართლო
მოსამართლე ბიძინა სტურუა
სხდომის მდივა-- მამუკა ჩავლეშვილი

ბრალდების მხარე

პროკურორი: შ-----ე

დაცვის მხარე

დამცველი: რ-----ე

ღია სასამართლო სხდომაზე არსებითად გა--ხილა სისხლის სამართლის საქმე N0-----

ბრალდებული: მ-----ო

მამის სახელი: ი-----

დაბადებული: 3-.0-.1--- წელი

პირადი ნომერი: 0-----

მოქალაქეობა: საქართველოს მოქალაქე

განათლება: საშუალო

ოჯახური მდგომარეობა: დასაოჯახებელი

ნასამართლობა: არ მქონე

მისამართი: თ-----ი, I- ნ-----ის დასახლება, V-- ქუჩა, I- ჩიხი N 5-

რეგისტრირებული: თ-----ი, I- ნ-----ის დასახლება, V-- ქუჩა, I- ჩიხი N 5-

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 14—ე მუხლის პირველი ნაწილი.

დისპოზიცია: ძალადობის გარეშე სრულწლოვნის გარყვნილი ქმედება დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-5-ე მუხლი.

დისპოზიცია: თვითმკვლელობამდე მიყვანა მსხვერპლისადმი მუქარით, სასტიკი მოპყრობით და მისი პატივის და ღირსების სისტემატური დამცირებით

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

1. სასამართლომ დაადგინა

1.1. მ-----ი, სოც---ურ ქსელ „F-----“-ზე დარეგისტრირდა პროფილით „G-----E“, რის შემდეგაც 20-8 წლის მარტში, სოც---ური ქსელით გაიცნო ო-----ის მუნიციპალიტეტის სოფელ შ-----ში მცხოვრები, არასრულწლოვა--, 2--- წლის 1- ნ-----ს დაბადებული ნ-----ძე, რომელთანაც სოც---ურ ქსელ „F-----“-ით ჰქონდა მიმოწერა. მ-----მა იცოდა, რომ ნ-----ძე იყო 16 წლის ასაკს მიუღწეველი და ნ-----ძეს სოც---ური ქსელით („F-----“), „G-----E“-ს პროფილზე გააგზავნინა მისი შიშველი ფოტოები. აღნიშნულის შემდეგ, მ-----მა ნ-----ძის მიმართ განახორციელა გარყვნილი ქმედება, ასწავლა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველ ნ-----ძეს თუ როგორ უნდა განეხორციელებინა საკუთარ სხეულზე გარყვნილი ქმედება, გადაელო ვიდეოები და გადაეგზავნა მისთვის, რაც შეასრულა კიდევ ნ-----ძემ და მის მიერ გადაღებული ინტიმური ფოტოები და ვიდეო ფაილები გადაუგზავნა მ-----ს.

1.2. მ-----ი, სოც---ურ ქსელ „F-----“-ზე დარეგისტრირდა პროფილით „G-----E“, რის შემდეგაც 20-8 წლის მარტში, სოც---ური ქსელით გაიცნო ო-----ის მუნიციპალიტეტის სოფელ შ-----ში მცხოვრები, არასრულწლოვა--, 2--- წლის 1- ნ-----ს დაბადებული ნ-----ძე, რომელთანაც სოც---ურ ქსელ „F-----“-ით ჰქონდა მიმოწერა. მ-----მა ნ-----ძეს, მიმოწერის დროს, სოც---ური ქსელით „F-----“-ზე, „G-----E“-ს პროფილზე გააგზავნინა მისი შიშველი ფოტოები. აღნიშნულის შემდეგ, მ-----ი ნ-----ძეს რამდენჯერმე დაემუქრა, რომ მის შიშველ ფოტოებს გაუგზავნიდა ნ-----ძის მშობლებს და მოსთხოვა ინტიმური გარყვნილი სურათებისა და ვიდეო-ფაილების გადაღება და მისთვის გაგზავნა და ამასთან ასწავლა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველ ნ-----ძეს თუ როგორ უნდა განეხორციელებინა საკუთარ სხეულზე გარყვნილი ქმედება, გადაელო ვიდეოები და გაეგზავნა მისთვის. აღნიშნული ნ-----ძეს აყენებდა განსაკუთრებულ ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვას, მაგრამ მ-----ის მიერ განხორციელებული იძულების შედეგად გადაიღო ინტიმური ფოტოები და ვიდეო-ფაილები და გადაუგზავნა მ-----ს, რითაც იგი გა--ცდიდა მისი პატივისა და ღირსების სისტემატურ დამცირებას. 20-8 წლის აგვისტოში, მ-----ი სოც---ურ ქსელით „F-----“-ზე, „G-----E“-ს პროფილით კვლავ დაუკავშირდა ნ-----ძეს და მუქარით და იძულებით მოსთხოვა ინტიმური ხასიათის გარყვნილი ვიდეოს გადაღება უკვე მეგობარ გოგონასთან ერთად და მისწერა რა და როგორ უნდა გაეკეთებინა, რის გამოც ნ-----ძემ მ-----ის მხრიდან განხორციელებული მუქარის, სასტიკი მოპყრობის და მისი პატივის და ღირსების სისტემატიური დამცირების გამო ჩაიდინა თვითმკვლელობა, კერძოდ 20-8 წლის 15 აგვისტოს საცხოვრებელი სახლის ეზოში, თოკით აივანზე ჩამოიხრჩო თავი.

2. მტკიცებულებების ერთობლიობა/ქმედების სამართლებრივი აღწერა

ძალადობის გარეშე სრულწლოვნის გარყვნილი ქმედება დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან.

თვითმკვლელობამდე მიყვანა მსხვერპლისადმი მუქარით, სასტიკი მოპყრობით და მისი

პატივის და ღირსების სისტემატური დამცირებით

2.1. ბრალდებულმა მ-----**მა** თავი დამნაშავედ არ ცნო წარდგენილ ბრალდებებში, უარი თქვა ჩვენების მიცემაზე და საბოლოო სიტყვის წარმოთქმის დროს განმარტა, რომ ნ-----ძეს არ იცნობდა ფიზიკურად და მისთვის სექსუალური მოქმედებების ამსახველი ვიდეოს და ფოტოს გადაღება არ მოუთხოვია და არც ნ-----ძის ასაკი იცოდა.

2.1.1. სასამართლოს სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა, დაზარალებულის უფლებამონაცვლემ, თ-----**ემ** განმარტა, რომ არის გარდაცვლილ ნ-----ძის დედა. ნ-----ძე სწავლობდა შ-----ის საჯარო სკოლაში და იყო თ-----ი წლის. ნ-----ძეს ძალიან კარგი ურთიერთობა ქონდა ოჯახის წევრებთან. 20-8 წლის 15 აგვისტოს, იმყოფებოდა სამსახურში. შეატყობინეს მომხდარის შესახებ და როდესაც სახლში მივიდა, ნ-----ძე დახვდა გარდაცვლილი. წერილის შესახებ, რომელიც თვითმკვლელობამდე პირადად მას დაუტოვა ნ-----მ, შეიტყო სოც-----ური ქსელიდან. ნ----- წერილს იწყებდა ბოდიშით, იმისთვის რაც გააკეთა და წერდა, რომ სოც-----ურ ქსელში გაიცნო ვინმე გ-----ე, რომელმაც გააბითურა და აიძულებდა ისეთი რაღაცის გაკეთებას, რომ სიკვდილი ამჯობინა. თ-----ემ აღნიშნა, რომ პროფესიით არის ფილოლოგი და დარწმუნებულია, რომ წერილი არის ნ-----ს დაწერილი. ნ----- სარგებლობდა შავი ფერის, ჰუავეის ფირმის მობილური ტელეფონით, რომელიც მამამ შეუძინა. სიმ ბარათი, რომლითაც ნ----- სარგებლობდა მის სახელზე ირიცხებოდა. გადმოცემით იცის, რომ ბრალდებულთან მიმოწერა არის ნ-----ს ტელეფონში, თუმცა თავად მათი შინაარსი არ იცის. მისი ჩვენებით, ნ-----ძე განსაკუთრებით მეგობრობდა თავის კლასელებთან ხ-----ესთან და ც-----თან, რომლებმაც თქვეს, რომ ნ-----სგან იცოდნენ, გ-----ის სახელით რეგისტრირებულ მომხმარებელთან, სოც-----ურ ქსელში მიმოწერის შესახებ და უთხრეს, რომ აღნიშნულმა პირმა, ვისაც ნ----- წერდა, იცოდა, რომ ნ-----ძე იყო თ-----ი წლის. თ-----ემ მიუთითა, რომ ნ-----ძე სვამდა მხოლოდ ალუბლის წვენს და არ მოსწონდა ალკოჰოლური და გაზია-- სასმელები. მისთვის უცნობი იყო როგორ აღმოჩნდა ნ-----ს სისხლში ალკოჰოლი და შეეძლო მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა, რომ ნ-----მ ალკოჰოლი მიიღო რათა იმის გაკეთება შეძლებოდა რაც გააკეთა. თ-----ემ აღნიშნა, რომ ნ-----ძე სკოლაში კარგად სწავლობდა და ყველა საგანში ქონდა შესაბამისი რეეული.

2.1.2. სასამართლოს სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა, მ-----**ემ** განმარტა, რომ არის გარდაცვლილ ნ-----ძის მამა. 20-8 წლის 15 აგვისტოს, დილით ნ-----მ გააცილა სამსახურში, სადაც შეატყობინეს მომხდარის შესახებ და როდესაც სახლში დაბრუნდა ნ-----ძე დახვდა გარდაცვლილი. გადმოცემით იცის, რომ ნ-----მ თავი ჩამოიხრჩო აივნის მოაჯირზე თოკის დამაგრებით და იგი პირველმა ბაზუამ ნახა, რომელსაც მეზობლები დაეხმარნენ ნ-----ს ჩამოხსნაში. მ-----ემ დაადასტურა, რომ მონაწილეობა მიიღო შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში რა დროსაც ამოიღეს ნ-----ძის კუთვნილი რეეულები და სხვა ნივთმტკიცებები, რომლებიც მითითებულია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში. მისი ჩვენებით, ნ-----ს ოჯახის წევრებთან კარგი ურთიერთობა ქონდა. საუბრობდნენ ყველა თემაზე და ვერ ხსნის რატომ არ უთხრა ნ-----მ ზეწოლის შესახებ. ნ-----ს თავად უყიდა ჩინური ტელეფონი. თავისი დისშვილისგან, ა-----ისგან, იცის, რომ ნ-----ს მობილურ ტელეფონში ინახებოდა მიმოწერები, საიდანაც გაირკვა, რომ ნ-----ს ვილაც თხოვდა სურათების გადაგზავნას და თუ არ გადააგზავნიდა,

ემუქრებოდა, რომ ნ---ს მშობლებს ე.ი. მათ, გადაუგზავნიდა ადრე გაგზავნილ სურათებს. ასევე გადმოცემით იცის, რომ აღნიშნული პიროვნება, გ--- ც-----ის, სახელით და გვარით იყო დარეგისტრირებული. მისი ჩვენებით, ნ-----ძეს მეგობრებმა, ხ-----ემ და ც-----მა, უთხრეს, რომ იმ პირმა, ვისაც ნ--- სოც---ურ ქსელში წერდა იცოდა, რომ ნ-----ძე იყო თ-----ი წლის. პირადად ნახა ნ---ს წერილი, თუმცა არ წაიკითხა და გადმოცემით იცის წერილის შინაარსი, რომ აღნიშნული პირი ნ---ს აიძულებდა ფოტოების გადაღებას და თუ არ გადაიღებდა, სურათებს გაუგზავნიდა მშობლებს და ამიტომ მოიკლა თავი ნ---მ. მ-----ემ განმარტა, რომ ნ---ს მშობლებთან თავისუფლად შეეძლო ნებისმიერ თემაზე საუბარი და უკვირს რატომ არ უთხრა ნ---მ მას, ზეწოლის ქვეშ რომ იმყოფებოდა. მ-----ემ ასევე აღნიშნა, რომ იგი ენდობოდა თავის შვილს, არ უშლიდა მას არაფერს, რადგან ნ--- არ საჭიროებდა რაიმეს დაშლას და მისთვის აუხსნელია თუ რატომ არ გაანდო მას ნ---მ ეს საკითხი. მისი ჩვენებით პირადად არ უნახავს ის ფოტოსურათები რომლებიც ნ---მ გააგზავნა სოც---ური ქსელით, თუმცა სავარაუდოდ ნ---ს ქონდა რაღაც სურათები გაგზავნილი, რადგან სწორედ ამ სურათებით აშანტაჟებდნენ ნ---ს, რის გამოც მოიკლა თავი.

2.1.3. რ-----ის ჩვენებით, არის გარდაცვლილი ნ-----ძის ძმა. 20-8 წლის 15 აგვისტოს, დილით მშობლებთან ერთად წავიდა სახლიდან, ხოლო ნ-----ძემ გააცილა ისინი. გადიოდა რა სამხედრო სავალდებულო სამსახურს, იმყოფებოდა თ-----ის მუნიციპალიტეტის შენობაში, როგორც მორიგე. დაუკავშირდა მამა და უთხრა, რომ სახლში უნდა წასულიყო. სახლში როდესაც მივიდა ხალხი უკვე შეკრებილი დახვდა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ა-----ემ უთხრა, რომ ნ-----ძე ძალადობის და შანტაჟის მსხვერპლი იყო და იმიტომ გადადგა ეს ნაბიჯი. მისი ჩვენებით, ნ-----ძე, მეგობრობდა და გამორჩეული ურთიერთობა ქონდა ხ-----ესთან და ც-----თან. ც---ა და ხ---ა, როდესაც ესაუბრებოდნენ პოლიციელებს გაიგონა მათი ნათქვამი, რომ ნ---ს მიმოწერა ქონდა „ფ-----ზე“ ერთ-ერთ მეგობართან, რომლისთვისაც ნ---ს თავისი ასაკი ნათქვამი ქონდა. რ-----ემ აღნიშნა, რომ ნ---ს ოჯახის წევრებთან კარგი დამოკიდებულება ქონდა. ნ--- ბევრ რამეს უყვებოდა და გახსნილი იყო. მაგრამ გ---რგი ც-----ესთან მიმოწერაზე ნ---ს მისთვის არ უთქვამს. მისი განმარტებით, ნ-----ძეს ქონდა ჰუავეის ფირმის ტელეფონი, ხოლო მისი ნომერი იყო 5---4-4-2-. რ-----ემ მიუთითა, რომ წერილი პირადად არ უნახავს და ზოგადად იცოდა წერილის შინაარსი. გადმოცემით იცის, რომ ნ---ს „ფ-----ის“ მეგობარი თხოვდა ისეთ რაღაცას, რასაც ვერ გააკეთებდა და ამიტომ გადადგა ეს ნაბიჯი.

2.1.4. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვის დროს თ-----ემ განმარტა, რომ არის ნ-----ძის მამიდა. მისი ჩვენებით, ნ--- დიდ დროს ატარებდა სახლში მასთან და ბებიასთან. ნ--- არ იყო კონფლიქტური და ყველას უყვარდა. 20-8 წლის 15 აგვისტოს, დილით, ნახა ნ---. მოგვიანებით წავიდა მაღაზიაში პურის საყიდლად. სახლში დაბრუნების დროს ესმოდა მამას ხმა და როცა დაბრუნდა სახლში ნ--- უკვე დასვენებული იყო დივანზე. შეეცადა სხვადასხვა გზით, პირველადი დახმარების აღმოჩენას, თუმცა უშედეგოდ. ნ--- აღმოაჩინა ბაბუამ, რომელსაც მეზობლები მიეხმარნენ ნ---ს ჩამოხსნაში. ნ---ს მიერ დატოვებული წერილის შესახებ იმავე დღეს შეიტყო, სადაც ნ---ს წერს იმ მიზეზს, რის გამოც სამუდამოდ დატოვა თავისი ოჯახი. წერილი იყო დედის სახელზე შედგენილი და ბოდიშს უხდიდა დედას.

2.1.5. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვის დროს რ-----ემ განმარტა,

რომ არის ნ-----ძის ბაბუა. ნ----ს ყველას მიმართ კარგი დამოკიდებულება ქონდა. სკოლაში წარჩინებული მოსწავლე იყო. 20-8 წლის 15 აგვისტოს მუშაობდა საქონლის სადგომში. ნ---- მივიდა მასთან, კითხა თუ რას აკეთებდა და უთხრა, რომ მოსწონდა ბაბუას ნამუშევარი და წავიდა. დაამთავრა მუშაობა, გამოვიდა საქონლის სადგომიდან და მისგან 15 ნაბიჯში დაინახა, რომ ბავშვი ჩამოკიდებული იყო. როდესაც მივიდა ბავშვი თბილი იყო. ძალიან მძიმე დღეში ჩავარდა. დაუძახა ოჯახის წევრებს, თუმცა სახლში არავინ იმყოფებოდა. მათ შორის არც ბებია, რომელიც ბოსტანში მუშაობდა. დაიწყო ხმამაღლა ყვირილი, შემდეგ კი კვილი, რათა ვინმე დახმარებოდა. მეზობელი რ----- --ე პირველი მივიდა მასთან და ორივემ ერთად დაიწყეს ნ----ს ჩამოხსნა. მათთან ასევე მივიდა მეზობელი აგ-----ე და სამივემ ერთად შეძლეს ნ----ს აწევა. მცირე ხნის შემდეგ სახლში ასევე დაბრუნდა თ-----ე და ბავშვს აღმოუჩინეს პირველადი დახმარება, თუმცა უშედეგოდ. რ-----ის ჩვენებით, ნ----ს ოთახში როდესაც შევიდა მაგიდაზე ნახა წერილი, რომელიც იწყებოდა ბოდიშით. მასთან მივიდა უფროსი ქალიშვილი, თ-----ე, რომელმაც წაუკითხა წერილი და გაიგო, რომ ნ----ს ამანტაჟებდნენ და თხოვდნენ შიშველი ფოტოების გაგზავნას და მთელი ცხოვრება შიშში ცხოვრებას, სიკვდილი ამჯობინა. წერილი დატოვა იმ ადგილას საიდანაც აიღო, დაბრუნდა სახლის პირველ სართულზე და ნ----ს მშობლებს უთხრა, რომ წერილი ნახა, თუმცა ამ დროს პოლიციის თანამშ-----ლები მივიდნენ და დაიწყეს შესაბამისი მოქმედებების ჩატარება. რ-----ემ აღნიშნა, რომ ღვედის მაგვარ თოკს, რომლითაც ნ----მ თავი ჩამოიხრჩო, საქონლისთვის იყენებდა, თუმცა როდის აიღო ნ----მ თოკი არ იცოდა. რ-----ემ განმარტა, რომ ნ----ს ოჯახის წევრებთან კონფლიქტი არ ქონდა, მთელ ენერგიას სწავლაზე ხარჯავდა და ნ----ს სოფელში, ფიზიკურ სამუშაოს არ ასრულებინებდნენ.

2.1.6. პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24--ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო სხდომაზე, საჯაროდ, წაკითხულ იქნა ე-----ძის 20-9 წლის 21 მარტის მოწმის სახით გამოკითხვის ოქმი, რომლის თანახმად, ცხოვრობს ო-----ის მუნიციპალიტეტის სოფელ ნ----ნებში და არის ნ-----ძის ბებია. 20-8 წლის 15 აგვისტოს დილით, დაახლოებით 8:3- საათზე ოჯახის წევრები მ-----ე, თ-----ე და რ----- --ე წავიდნენ სამსახურში. სახლში მასთან ერთად დარჩნენ, მეუღლე რ-----ე, შვილი თ-----ე და შვილიშვილი ნ-----მე. დაახლოებით 1:45 საათზე წავიდა საკარმიდამო მიწის ნაკვეთის დასამუშავებლად. მუშაობის დროს გაიგონა მეუღლის ყვირილის ხმა, რომელიც შველას ითხოვდა. ვინაიდან მიწის ნაკვეთი არის დამრეცი, დააგვიანდა მეუღლესთან მისვლა. დაინახა, რომ მათი ეზოსკენ გაიქცა მეზობელი რ-----ე, ხოლო როდესაც თავად დაბრუნდა სახლთან დაინახა, მეზობლად მცხოვრები აგ-----ე. დაინახა, რომ ნ-----ძეს თავი ქონდა ჩამოხრჩობილი. რ-----ემ, რ-----ის და აგ-----ის დახმარებით ჩამოხსნა ნ---- თოკიდან და ნ---- დაასვენეს სახლში პირველ სართულზე. სახლში ასევე დაბრუნდა თ-----ე, რომელიც პურის საყიდლად იყო მაღაზიაში წასული. მეუღლემ, რ-----ემ ნ----ს ოთახში ნახა წერილი და გაიგეს, რომ ნ---- თვითმკვლელობამდე მიიყვანა სხვა პირის ქმედებამ, რომელზეც წერდა წერილში.

2.1.7. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვის დროს რ-----ემ განმარტა, რომ არის ნ-----ძის მეზობელი. ნ---- ძალიან კარგი და ნიჭიერი ბავშვი იყო. ნ----ს ოჯახი უკონფლიქტო ოჯახია და ოჯახის წევრები მშვიდი და წესიერი ადამიანები არიან.

20-8 წლის 15 აგვისტოს დილით მიდიოდა მაღაზიაში და გაიგონა ყვირილი. წავიდა იმ მიმართულებით საიდანაც ისმოდა ხმა, რადგან ადამია-- შველას ითხოვდა. მიუახლოვდა რა ნ---ს სახლს მიხვდა, რომ ნ---ს ბაბუა ყვირილით ითხოვდა შველას. პირველი ჩავიდა ეზოში, მივიდა ბაბუასთან და დაიწყეს ნ---ს თოკიდან ჩამოხსნა. მათთან ასევე მივიდა მეზობელი ავ-----ე და სამივემ ერთად შეძლეს ნ---ს ჩამოხსნა და ბავშვი სახლში დაასვენეს. მალევე სახლში დაბრუნდა ნ---ს მამიდა, რომელმაც ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა ბავშვს, თუმცა უშედეგოდ. დაინახა, რომ ბავშვს დაზიანება ქონდა კისერზე. მისი ჩვენებით ნ---ს მშობლები სამსახურში იყვნენ, ხოლო ძმა სამხედრო სავალდებულო სამსახურს იხდიდა ო-----ში.

2.1.8. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვის დროს ავ-----ემ განმარტა, რომ არის ნ-----ძის მეზობელი და ნ---ს ძმის მეგობარი. ნ--- დინჯი და მოწესრიგებული ბავშვი იყო და კარგად სწავლობდა. ნ---ს მშობლები ძალიან მზრუნველები არიან და ყველას ყურადღებას აქცევენ. 20-8 წლის 15 აგვისტოს იმყოფებოდა სახლში, როდესაც გაიგონა რ-----ის ყვირილი. ეზოში შესვლის დროს დაინახა, რომ ნ---ს თავი ქონდა ჩამოხრჩობილი. ნ---ს ბაბუას გარდა იქ იმყოფებოდა მხოლოდ მეზობელი როლანდი მიქაძე. ჩამოხსნის დროს ნ--- თბილი იყო. დარეკა სასწრაფო დახმარებაში და დახმარება ითხოვა. სასწრაფო დახმარებასთან ერთად მივიდა პოლიცია. მისი ჩვენებით ნ---ს დაზიანება ქონდა კისრის არეში. ნ---ს მიერ დატოვებული წერილის შესახებ გადმოცემით იცის და პირადად წერილი არ უნახავს.

2.1.9. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვის დროს ლ-----იამ განმარტა, რომ არის ნ-----ძის ნათესავი. 20-8 წლის 15 აგვისტოს შეიტყო მომხდარის შესახებ და მივიდა ნ---ს სახლში. ბავშვი დასვენებული იყო სახლის პირველ სართულზე. ნ---ს ჯგუფელები საუბრობდნენ, რომ ნ---ს ტელეფონით მიმოწერა ქონდა მისთვის უცნობ ბიჭთან, რომელიც გ--- ც-----ის სახელით იყო დარეგისტრირებული სოც---ურ ქსელში და რომელმაც მიიყვანა თვითმკვლელობამდე. თავისმა მამიდაშვილმა, მ-----ემ უთხრა, რომ ნ---ს ტელეფონი შეიძლებოდა ყოფილიყო ნ---ს ოთახში. ავიდა სახლის მეორე სართულზე და შევიდა ნ---ს ოთახში, სადაც დახვდა მეორე მამიდაშვილის შვილი ა-----ე. მიუსამძიმრეს ერთმანეთს და კითხა ა--ს, ნახა თუ არა ნ---ს ტელეფონი. ა--მ მიუთითა, რომ ნ---ს ტელეფონი მაგიდაზე იდო. მივიდა მაგიდასთან, აიღო ტელეფონი, რომელიც იყო შავი ფერის, თუმცა ვერ გახსნა, რადგან კოდი არ იცოდა. ა--ს უთხრა, რომ ტელეფონი პოლიციისთვის უნდა მიეცა. ხმაურის გამო, ჩავიდა სახლის პირველ სართულზე და გადავიდა მეზობელთან, რადგან წნევამ შეაწუხა. როდესაც დაბრუნდა, შეხვდა პოლიციის თანამშ-----ელს, რომელმაც გამოკითხა და შემდეგ გადასცა ნ---ს კუთვნილი მობილური ტელეფონი. ა-----ემ მოგვიანებით უთხრა, რომ ნ---ს ტელეფონში წაიკითხა წერილები და ისეთ უხამს წერილებს წერდნენ ნ---ს, თხოვა რომ არ მოყვებოდა.

2.1.10. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვის დროს ა-----ემ განმარტა, რომ ნ-----მე არის მისი ბიძაშვილი. ნ---სთან ძალიან თბილი დამოკიდებულება ქონდა. ნ--- არ იყო კონფლიქტური. ნ---ს ყველასთან თბილი და კარგი ურთიერთობა ქონდა. თბილ გარემოში იზრდებოდა ბავშვი და ყველას უყვარდა. სკოლაში ძალიან ბეჯითი იყო. ოჯახის წევრებთან და კლასელებთან ძალიან კარგი ურთიერთობა ქონდა. ნ---ს არასდროს უთქვამს, რომ ოჯახთან კონფლიქტი ქონდა. 20-8 წლის 15 აგვისტოს, თ-----ისგან გაიგო, რომ ნ---მ თავი ჩამოიხრჩო. როდესაც მივიდა ნ---ს სახლში, ნ--- გარდაცვლილი

იყო და ესვენა დივანზე, სახლის პირველ სართულზე მისაღებ ოთახში. გადაწყვიტა, რომ ენახა ნ----ს ნივთები და შევიდა ნ----ს ოთახში, სადაც ნახა ნ----ს ტელეფონი, ლეპტოპი და წერილი. დაიწყო წერილის წაკითხვა, რომელიც იწყება დედის მიმართ ზოდიშით და ვინმე გ---რგიზე, რომელიც აიძულებდა საზიზღარი ვიდეოების და სურათების გადაღებას. ასევე ემუქრებოდა ნ----ს, რომ მათ შორის მიმდინარე მიმოწერას მშობლებს გადაუგზავნიდა. წერილის მეორე ფურცელზე ეწერა მისამართები ტელეფონის, „ფ-----ის“ ნომრები და ყველაფერი რაც შეიძლება დახმარებოდა მათ სიმართლის დადგენაში. როცა დაასრულა წერილის კითხვა, ნ----ს ტელეფონზე შევიდა სმს-ი და ტელეფონი აინთო. გახსნა ტელეფონი და მიიღო გ---რგი ც-----ის სმს-ი. გ---რგი ც-----ე ემუქრებოდა, რომ თუ არ უპასუხებდა ნ----, ვიდეოს გააგზავნიდა. დაიწყო ტელეფონის შემოწმება და ნახა რამდენიმე „დასქრინშოთებული“ ძალიან ბილწი და ამორალური მიმოწერა გ---რგი ც-----ესთან. ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე ნ----ს მიმართ იყო მოთხოვნა, რომ უნდა გადაეღო ვიდეო მეორე გოგონასთან ერთად და ასწავლიდა ზუსტ მოქმედებებს, სად უნდა დაედო ხელი და სად პირი, უნდა გამოეცათ სასიამოვნო ხმები და ვიდეო უნდა ყოფილი დაახლოებით 10 წუთია--. აღნიშნული მესიჯები იყო თვითმკვლევლობამდე წინა დღით გაგზავნილი. თავისი ტელეფონით გადაუღო სურათები მიმოწერას და გაიგონა რა კიბეზე ფეხის ხმა სწრაფად დადო ტელეფონი. ოთახში შევიდა ლ-----ია, მიუსამძიმრეს ერთმანეთს ნ----ს გარდაცვალება და ლ-----იამ კითხა თუ სად იყო ნ----ს ტელეფონი, რადგან გაიგონა ნ----ს კლასელების საუბარი, რომ ნ----ს მიმოწერა ქონდა ვინმე გ---რგისთან. მიუთითა ტელეფონზე, რომელიც აიღო ლ-----იამ, ვერ გახსნა და ჩაიდო ჯიბეში. კვილის ხმაზე დაბრუნდნენ სახლის პირველ სართულზე. ლ-----ია წყლის დასალევად წავიდა, თავად კი დარჩა გარდაცვლილთან. შემთხვევის დღეს დარჩა ნ----ს სახლში. თავისი „ფ-----ის“ გვერდიდან ათვალიერებდა ნ----ს გვერდს, სადაც სამძიმარს წერდნენ. ერთ-ერთი შეტყობინება იყო გ---რგი ც-----ის, რომელიც წერდა „რამ გაიძულა ჩემო ანგელოზო ეს, გუშინ დედის დაბადების დღეს ზეიმობდი, ჩემო ანგელოზო“. თავისი ფ-----იდან გადავიდა გ---რგი ც-----ის გვერდზე და ნახა, რომ გ---რგი ც-----ეს ნ----ს ასაკის 4000 მეგობარი გოგო ყავდა „ფ-----ზე“. შეტყობინებამ ძალიან ცუდად იმოქმედა, მიხვდა რომ პოლიციისთვის უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია და წავიდა პოლიციაში, სადაც დატოვა ის სურათები, რომლებიც ნ----ს ტელეფონში არსებული მიმოწერებისთვის ქონდა გადაღებული. მოგვიანებით გაიგო, რომ მ-----ი იყო ის პირი, ვინც ნ----ს შეტყობინებებს წერდა. ა-----ემ აგრეთვე განმარტა, რომ ესაუბრა ნ----ს თანაკლასელებს, ხ-----ეს და ც-----ს, რომლებმაც უთხრეს, რომ ნ----ს თავისი ასაკი იმ პირისათვის ვისაც წერდა ნათქვამი ქონდა.

2.1.1- სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვის დროს ხ-----ემ განმარტა, რომ არის ნ-----ძის კლასელი. პირველი კლასიდან ერთად სწავლობდნენ შ-----ის საჯარო სკოლაში. ნ---- ბევრ ბავშვთან მეგობრობდა. ნ----ს ყველასთან კარგი ურთიერთობა ქონდა. ნ----მ უთხრა, რომ „ფ-----ით“ მიმოწერა ქონდა გ---რგი ც-----ესთან, რომელსაც უთხრა, რომ იყო 15 წლის და მე-10 კლასის მოსწავლე. რამდენჯერმე აჩვენა გ---რგი ც-----ესთან გაგზავნილი სასიყვარულო შინაარსის სმს-ები. ასევე ნახა მ-----ის მიერ გადაგზავნილი ერთი ფოტოსურათი, რომელზეც თავად ბრალდებული იყო აღბეჭდილი. ნ----ს ტელეფონის ნომერია 5---4---1-6 და ამ ნომრით ქონდა მიმოწერა. ხ-----ემ აღნიშნა, რომ ნ----მ, პირადად მას 19 ივლისს უთხა, რომ გ---რგი ც-----ე შექმნილი „ფ-----ის“ გვერდი იყო. სინამდვილეში კი სხვა წერდა გ---რგი ც-----ის სახელით, რაც მისთვის მოულოდნელი იყო. გ---რგი ც-----ის ფ-----იდან ორჯერ მიიღო მეგობრობის თხოვნა, თუმცა არ დაიმატა და ნ----ს უთხრა, რადგან იცოდა, რომ გ---რგი ნ---

--ს წერდა. ნ---ს თვითმკვლელობის შესახებ შეიტყო 20-8 წლის 15 აგვისტოს. როდესაც მივიდა ნ---ს სახლში იქ იყვნენ მეგობრები და საუბრობდნენ, რომ წერილი იყო დატოვებული. მერე როცა წერილის შინაარსი კარგად გაიგო მიხვდა რაზეც იყო საუბარი. მეგობრებმა დაიწყეს ამის შესახებ ეზოში ღიად საუბარი.

2.1.1- სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვის დროს ც-----მა განმარტა, რომ არის გარდაცვლილი ნ-----ძის თანაკლასელი. ნ---ს იცნობს პირველი კლასიდან. ერთად იყვნენ სკოლაში და მასწავლებლებთან ერთად ემზადებოდნენ. ნ--- გამორჩეულად მეგობრობდა მასთან და ხ-----ესთან. ისეთ თემებზე, რასაც სხვასთან ვერ ისაუბრებდნენ საუბრობდნენ ერთმანეთში. ნ--- გამორჩეული მოსწავლე იყო და ძალიან ბევრი მეგობარი ყავდა. ერთ-ერთი სამაგალითო მოსწავლე იყო სკოლაში. არასდროს გაუგია, რომ ნ---ს ოჯახთან კონფლიქტი ქონდა. ნ---ს ოჯახის წევრებს ძალიან თბილი დამოკიდებულება ქონდათ ერთმანეთის მიმართ. 20-8 წლის მარტში, ნ---სთან და ხ-----ასთან ერთად იმყოფებოდა სკოლის ეზოში, როდესაც ნ---მ უთხრა, რომ გ--- ც-----ესთან ქონდა მეგობრული ურთიერთობა „ფ-----ზე“ და აჩვენა სასიყვარულო მიმოწერები. გ--- ც-----ე ინგლისურად ეწერა „ფ-----ზე“. ნ-----მემ უთხრა, რომ გ--- ც-----ემ გამოუგზავნა მეგობრობა „ფ-----ზე“, რომელიც წერდა ნ---ს და გეგმავდა მასთან მყარ ურთიერთობას. თუმცა ნ---ს არ უთქვამს ამ პიროვნებისთვის, რომ ისიც აპირებდა მასთან ურთიერთობის გაღრმავებას. რამდენიმე ხნის შემდეგ ნ---მ ასევე უთხრა, რომ გამოჩნდა პიროვნება, რომელიც დარეგისტრირებული იყო „ფ-----ზე“, როგორც თ-----ლი - თ-----ლი და გეცნო ნ---ს, როგორც გ--- ც-----ის მეგობარი. როდესაც ნ---მ და გ--- ც-----ემ იჩხუბეს, თ-----ლი წერდა, რომ არ უნდა ეჩხუბათ, ამშვიდებდა და ურჩევდა, რომ გაეგრძელებია ურთიერთობა გ--- ც-----ესთან. ც-----ის განმარტებით, ნ---მ პირადად აჩვენა, როგორ იყო დარეგისტრირებული თ-----ლი ფ-----ზე, კერძოდ ნახა რომ ეწერა „თ-----ლი-თ-----ლი“ და ასევე ნახა ფოტო. ც-----მა მიუთითა ბრალდებულ მ-----ზე და აღნიშნა, რომ მ-----ი არის ის პიროვნება ვინც იყო „თ-----ლი-თ-----ლის“ სახელით შექმნილი „ფ-----ის“ გვერდის პროფილის სურათზე. მისი ჩვენებით, ნ---ს გ--- ც-----ისთვის მიწერილი ქონდა რომ მეგობრობდა მასთან და ხ-----ესთან, რის გამოც გ--- ც-----ემ გაუგზავნა მათ მეგობრობა. აღნიშნულის შესახებ უთხრა ნ-----მეს და გ--- ც-----ე არ დაიმატა მეგობრებში. ც-----მა ჩვენების მიცემის დროს განმარტა, რომ ნ-----ძისგან იცოდა, რომ ნ---მ „გ--- ც-----ეს“ უთხრა თავისი ასაკი, სკოლა სადაც სწავლობდა და საცხოვრებელი ადგილი. ნ---ს მისთვის არაფერი უთქვამს ზეწოლის შესახებ. ნ---სთან ხშირად რჩებოდა სახლში. ნ---ს თავის ოთახში სამეცადინო რვეულები და სხვა პირადი ნივთები ქონდა. ნ---ს ასევე ძალიან ლამაზი კალიგრაფია ქონდა. 20-8 წლის 15 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში, ხ-----ისგან შეიტყო, რომ ნ---მ თავი ჩამოიხრჩო. ნ---ს სახლში როდესაც მივიდნენ, ოჯახის წევრები საუბრობდნენ ნ---ს მიერ დატოვებულ წერილზე, სადაც გ---რგი იყო ნახსენები. თქვეს, რომ გ---რგი შეიძლება გ--- ც-----ე ყოფილიყო და უთხრეს ოჯახის წევრებს მიმოწერის შესახებ. ც-----მა განმარტა, რომ ნ-----ძეს მხოლოდ ერთ გ---რგისთან ქონდა ურთიერთობა და ის იყო გ--- ც-----ე, რაც უთხრეს ნ---ს ოჯახის წევრებს.

2.1.1- მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი თ-----ვილის გამოკითხვის ოქმით, დაახლოებით სამი წლის წინ გაიცნო თ-----ში მცხოვრები მ-----ი, რომელიც მასთან ერთად მუშაობდა დამხმარე მუშად სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე. მ-----ს არ ქონდა მობილური ტელეფონი და როცა დაკავშირება სურდა, რეკავდა

დედის კუთვნილი ნომრით 5- 5- 6- 4. როგორც ახსოვდა 20-8 წლის ზაფხულის დასაწყისში, ან შესაძლოა გაზაფხულის ბოლოს, მ-----მა შეიძინა მობილური ტელეფონის აპარატი „IPHONE 4S“ მოდელის, ტელეფონის შეძენის შემდეგ უნდა შეეძინა სიმბარათი, მაგრამ არ ქონდა პირადობის მოწმობა და თხოვა სიმბარათი შეეძინა თავისი პირადობის მოწმობით, რაზეც დათანხმდა და თ-----ში “ვაგზლის,, მოედანზე, ერთ-ერთ ჯიხურში, თავისი პირადობის მოწმობით შეიძინა შპს „ჯეოსელის“ სიმბარათი, რომლის ნომერია 5-8 1- 6- 1-, რაც მისცა მ-----ს. პირადად მას, ნომრით 5-8 1- 6- 1- არასოდეს უსარგებლია, შეძენის დღიდანვე ამ ნომრით სარგებლობდა მ-----ი და ხსენებული ნომრიდან, 5-8 1- 6- 1-, ხშირად უკავშირდებოდა მობილური ტელეფონის ნომერზე 5-- 0- 3- 2-. ტელეფონის ნომრით 5-8 1- 6- 1- მ-----ის გარდა სხვა არავინ დაკავშირებია. მ-----თან ტელეფონით საუბრობდა სამშენებლო და სარემონტო საქმიანობაზე, რომელშიც იყვნენ ჩართულები, სხვა თემებზე საუბარი და მიმოწერა არ ქონდათ. ასევე მეგობრობდა მ-----თან „ფ-----ზე“, სადაც თავად დარეგისტრირებული იყო როგორც „თ-----ვილი, ხოლო მ-----ი ლათინური ასოებით „t-----i t-----i“.

2.1.14. მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი ნ-----ზ ვ-----ის გამოკითხვის ოქმით, იცნობს მ-----ს. არის ფ----- მომხმარებელი, თუმცა პროფილი “გ-----e,, მას არ ეკუთვნის და მისთვის უცნობია თუ ვინ დააყენა პროფილზე მისი ფოტო. მ-----ს არ უთქვამს, რომ შექმნა პროფილი, სახელით “გ-----e,, და ატვირთა მისი ფოტოსურათი. 20-7 წლიდან სასჯელს იხდის N 17 პენიტენციურ დაწესებულებაში და არავისთვის მიუცია ნებართვა თავისი ფოტოსურათი განეთავსებინა რომელიმე „ფ-----“ გვერდზე.

2.1.15. სასამართლო სხდომაზე დეტექტივ-გამომძიებლებმა დ-----ემ და მ-----იამ, ასევე, უბნის უმცროსმა ინსპექტორ-გამომძიებელმა გ-----ემ დაადასტურეს, რომ მ-----ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე მათი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით ჩატარებული საგამომძიებო მოქმედებები განხორციელდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

2.1.16. 20-8 წლის 15 აგვისტოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, საგამომძიებო მოქმედება დაიწყო 17:20 საათზე და დასრულდა 19:3- საათზე. დასათვალიერებელ ობიექტს წარმოადგენს ო-----ის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ნ-----ნებში მდებარე მ-----ის საცხოვრებელი სახლი და ეზო. საცხოვრებელ სახლთან მისასვლელი არის სოფელ ნ-----ნების და სოფელ შ-----ის დამაკავშირებელი საავტომობილო გზიდან ხელმარცხნივ. სახლთან მისასვლელი გზა არის მოასფალტებული, რომელიც დაზიანებულია, გადასახვევიდან სახლამდე არის დაახლოებით 150 მეტრი. ეზოში შესასვლელია რკინის სამ ფრთია-- ჭიშკრით, ჭიშკრიდან სახლამდე არის დაახლოებით სამი მეტრი, საცხოვრებელი სახლი არის ორსართულია--, ბლოკის. სახლს აქვს წინა და უკანა ეზო, აგრეთვე წინა და უკანა შესასვლელები, ხოლო სახლს უკანა მხრიდან აქვს აივა--, რომელზეც ასასვლელი არის ეზოდან, კიბით. აივანს აქვს რკინის მოაჯირები. საცხოვრებელი სახლის წინა მხარეს მდებარეობს ჭა, ეზო მოპირკეთებულია. საცხოვრებელი სახლის უკანა მხარეს მდებარეობს დამხმარე ნაგებობები: ავტოფარები, საქონლის სადგომი, ნალია, სამზადისი, სამზარეულო. უკანა მხრიდან შესაძლებელია რკინის ერთ ფრთია-- ჭიშკრით საკარმიდამო ნაკვეთში გასვლა, საქონლის სადგომი სახლიდან მოშორებულია 21 მეტრით, ხოლო ავტოფარები და

სამზადისი დაახლოებით 10 მეტრით. საცხოვრებელი სახლის უკან მდებარე აივა-- დგას რკინის მილებზე, მიწიდან აივნის მოაჯირამდე არის 29 სმ. აივნის რკინის მოაჯირზე, მიწისკენ ჩამოკიდებულია ბრტყელი თოკი, რომელსაც აქვს ნასკვები, ყულფი, თოკის ქვემოთ დგას ძველი მოყავისფრო საზურგია-- რკინის სკამი, რომლის სიმაღლე მიწიდან საჯდომამდე არის 40 სმ, ხოლო მთლიან-- სიგრძე არის 81 სმ, საჯდომის სიგანე 36 სმ, სიგრძე 36 სმ. ფეხები დაშორებულია 42 სმ და სიგანე 3- სმ. აქვე ამობრუნებულ მდგომარეობაში საჯდომი სკამის გვერდით დგას სკამი უზურგო თეთრი ფერის. შემთხვევის ადგილის, ანუ საცხოვრებელი სახლის უკანა ეზოს დათვალიერებისას, სადაც მ-----ის განმარტებით, ნ-----მემ ჩამოიხრჩო თავი, ამოღებულ იქნა აივანზე ჩამოკიდებული თოკი, საჯდომი სკამი, საზურგია-- და უზურგო სკამი. მ-----ის მითითებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების მონაწილენი ავიდნენ მეორე სართულზე, სადაც მ-----ემ მიუთითა ნ-----მის საძინებელი ოთახის კარებზე, რომელიც მდებარეობს საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე, უკანა შესასვლელიდან მარცხენა მხარეს. საძინებელ ოთახში, საწერი მაგიდიდან, რომელიც დგას ფანჯარასთან, ამოღებულ იქნა ნ-----მის მობილური ტელეფონის „ჰუავეის“ მუყაოს ყუთი, რომელზეც მითითებულია მობილური ტელეფონის ფირმა „ჰუავეი“, ლოგო და იმეი კოდები: 8----- და 8-----. ასევე ვიზუალურად დათვალიერებული იქნა „ჰუავეის“ ფირმის შავი ფერის მაჯის საათი მისი თეთრი ფერის მუყაოს ყუთით. საწერი მაგიდიდან ამოღებული იქნა ორი ცალი რვეულ-ბლოკნოტი ცისფერი ყდით, რომელთა ფურცლების ქვედა მარჯვენა მხარეს დატა--ლია ევროკავშირის დროშა პატარა ვარსკვლავებით და წარწერით ინგლისურ ენაზე „ევროკავშირი“. მაგიდიდან ამოღებული იქნა შავი ფერის „hp“ ფირმის ლეპტოპი, საწერი მაგიდიდან ამოღებული იქნა ხელნაწერი ერთ ფურცელზე, რომელიც იწყება მიმართვით დედის მიმართ „დედი! ჩემო კარგო მინდა აქედანვე ბოდიში მოგიხადო რაც გავაკეთე“, სრულდება: „მინდა იმ ავადმყოფს მოვშორდე“. მეორე გვერდი კი იწყება სიტყვებით „ვიცი ჯოჯოხეთი არ ამცდება“ და სრულდება სიტყვებით: „მშვიდობით“, მეორე ფურცელზე კი მითითებულია ტელეფონის კოდი 1-----, ფ-----გვერდის მომხმარებლის სახელი +9----- და პაროლი „s----- 1--“ f-----: 1--, სხვა ოთხი სვეც---ური ქსელი: ინსტაგრამი, სტულიშ, ვაიბერ, ვოთსაპი, არცერთის პაროლი არ მახსოვს“. ფურცლებს ეტყობა გაკეცვის კვალი, ამოხვევის კვალი, განკუთვნილია ქართული წერისთვის, ცალხაზია--, ფურცლების როგორც ერთ გვერდზე, ისე მეორეზე, მარჯვენა ქვედა კუთხეში დატა--ლია ევროკავშირის დროშა ინგლისურენოვა-- წარწერით „ევროკავშირი“. საწერი მაგიდიდან ამოღებულ იქნა ნ-----მის სასკოლო რვეულები. მ-----ის განმარტებით, მასში არსებული ჩანაწერები ეკუთვნის მის შვილს - ნ-----მეს. ამის შემდეგ, საცხოვრებელი სახლის მეორე სართულიდან შიდა კიბით ჩასასვლელია ქვემოთ, სადაც დივანზე ასვენია ნ-----მის გვამი, რომელსაც კისერზე ეტყობა ნაჭდევი, ტანზე აცვია მოკლემკლავია-- მაისური, თეთრი და შავი ზოლებით, მაისურზე არის ინგლისურენოვა-- წარწერები, სხვა რაიმე დაზიანება ვიზუალური დათვალიერებით გვამს არ აღენიშნება. ნ-----მის გვამს წელსქვემოთ გადაფარებული აქვს დივა--ს ნაჭრის გადასაფარებელი. დათვალიერების შედეგად ამოღებულ იქნა და დაილუქა 1) ბრტყელი თოკი მოწითალო ზოლებით, 2) ხელნაწერი წერილი ორ ფურცლად, 3) შავი ფერის ლეპტოპი, 4) ორი ცალი ლურჯი ბლოკნოტი რვეული, 5) მობილური ტელეფონის „ჰუავეის“ თეთრი მუყაოს ყუთი, 6) ჰუავეის მაჯის საათი და მისი ყუთი, 7) ნ-----მის რვეულები, 8) ერთი ცალი საზურგია-- სკამი, 9) ერთი ცალი უზურგო სკამი. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი ხელმოწერილია მონაწილე პირების ექსპერტ მ-----ის და მ-----ის მიერ. ოქმს ხელს აწერს ოქმის შემდგენი დ-----

-----ძე. ოქმის ასლის მიღებას ხელმოწერით ადასტურებს მ-----ე. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს ერთვის ფოტოსურათები, რომელზეც აღბეჭდილია შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიმდინარეობა. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვის დროს ო-----ის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ გამომძიებელმა დ-----მემ დაადასტურა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში მითითებული გარემოებების სისწორე და აღნიშნა, რომ ნ-----ძის ოთახიდან რვეულები ამოიღო მ-----ის მითითებით, რომელმაც განუმარტა, რომ რვეულები ეკუთვნოდა ნ-----ძეს. ნ-----ძის ოთახში არსებული რვეულებიდან, მხოლოდ ნაწილი ამოიღო, რათა ხელნაწერები შეედარებინა. დ-----მემ აგრეთვე განმარტა, რომ ყველა ნივთს გადაუღეს სურათი ისეთ მდგომარეობაში, როგორც საგამომძიებო მოქმედების დაწყებამდე დახვდათ და შემდეგ ამოიღეს ისინი. მათ შორის იყო ნ-----ძის სამეცადინო მაგიდაზე არსებული წერილი, რომელიც იწყებოდა დედის მიმართ მიმართვით.

2.1.17. შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად ამოღებულ იქნა წერილი, რომლის ფოტოასლი ერთვის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს, ხოლო დედა-- მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეულ იქნა სასამართლო სხდომაზე. აღნიშნულ წერილს სასამართლო წარმოადგენს იმ სახით რა სახითაც არის იგი შედგენილი, რათა სრულყოფილად შეფასდეს წერილში მოცემული ინფორმაცია სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. წერილი არის შემდეგი შინაარსის:

„დედი! ჩემო კარგო, მინდა აქიდანვე ბოდიში მოგიხადო იმაზე რაც გავაკეთე... არასდროს გიჯერებდი არაფერში, ყოველთვის ყველაფერს ისე ვაკეთებდი, როგორც მე მინდოდა და აი მანდ ვცდებოდი სულ. მაფრთხილებდი რომ არ მიმეწერა ბიჭებზე და ასე შემდეგ მაგრამ მე არ გიჯერებდი... ჰოდა მოკლედ ვწერდი ერთს გ---რგი ქვია და ისე დავახლოვდით და შევეჩვიე მომავალზეც კი ვილაპარაკეთ დაჟე ბავშვზეც შელაპარაკა მაგრამ რალაც დროის შემდეგ გავიგე რომ თურმე ის არ ყოფილა ვინც მეგონა, თურმე მისი ძმაკაცი მწერდა იმის ფ-----იდან ნომერზეც ის შელაპარაკებოდა და ასე გამასულელეს. სიმართლე თვითონ ამ გ---რგის ძმაკაცმა მითხრა. სიმართლის გაგების შემდეგ თვითონ გ---რგიმ მომწერა და მითხრა თუ იმას არ გავაკეთებდი რასაც მეტყოდა ჩვენს ესემესებს დასქრინავდა და შენ და მამიკოს გამოგიგზავნიდათ. მაგას კი ვერ დავუშვებდი და დავთანხმდი, ძალიან ბევრი საზიზღრობა ვიდეო გადამაღებინა და გამაგზავნიდა. შემდეგ ამ ვიდეოებით დამიწყო შანტაჟი... ეს დღეები რა გამოვიარე ამას ვერავინ ვერ გაიგებს დედა აი შენც კი ვერ გაიგებ. ვიცი საკუთარი ხელით დავიღუპე თავი მაგრამ ვერაფერს შევცვლი. შენგან იმ სიტყვების მოსმენას რომ გრცხვენია შენი შვილი რომ ვარ მირჩევნია მოვკვდე...“

ასე სიცოცხლე აღარ შემიძლია დავიღალე მინდა იმ ავადმყოფს მოვშორდე ვიცი ჯოჯოხეთი არ ამცდება ამაში დარწმუნებული ვარ მაგრამ იმ საზიზღრობებს რაც იმან გამაკეთებინა და კიდევ რასაც მთხოვს ისევ ჯოჯოხეთი მირჩევნია. მირჩევნია ემშაკებმა დამიგლიჯონ სული ვიდრე ცოცხალი ვიყო და ესე ვიტანჯო. გთხოვ მაპატიე. მაპატიე რომ მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობ და არა შენზე. გთხოვ ნუ მიტირებ მე შენი ერთი ცრემლის ღირსიც არ ვარ.

მერწმუნე ასე უკეთესია მე რომ თქვენს ცხოვრებაში აღარ ვიქნები. დრო გავა და შენი ტკივილიც შემსუბუქდება. არ გეგონოს რომ ეს დასასრულია, პირიქით ეს დასაწყისია ცხოვრების... ცხოვრების რომელშიც მე არ ვიქნები.

გახსოვდეს დე! ყველაზე მეტად მიყვარხარ და სადაც არ უნდა ვიყო ყოველთვის შენ გვერდით ვიქნები.

გვედრები მაპატიე ჩემი ეს საქციელი და გახსოვდეს რომ ძალიან მიყვარხარ.

ილოცე ჩემი სულისთვის.

მშვიდობით...

ტელეფონი:1-----

F-----k: +995 5---3--8--3-, S-----1--

Foturus :1---

Instagram, Stulish, Viber, WhatsApp - არცერთის პაროლი არ მახსოვს.“

2.1.18. 20-8 წლის 15 აგვისტოს ამოღების ოქმით, საგამომიებო მოქმედება დაიწყო 20-8 წლის 15 აგვისტოს 20:5- საათზე და დასრულდა 21:45 საათზე. ამოღების წესით გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, ო-----ის მუნიციპალიტეტის სოფელ ნ-----ნებში ნ-----ძის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული საგამომიებო მოქმედების შედეგად, ლ-----იასაგან ამოღებულ იქნა ნ-----ძის კუთვნილი მობილური ტელეფონი, რომელიც არის „ჰუავეის“ ფირმის და მოთავსებულია მოშავო გამჭირვალე ცელოიდის დამცავში. ტელეფონი არის შავი ფერის, უკანა მხარეს აქვს ორი კამერა, განათების ნათურა, თითის ანაბეჭდის სკანერი, „ჰუავეის“ საფირმო ლოგო, დაკრულია თეთრი სტიკერი წარწერით „EAL“, წინა მხარეს არის სენსორია-- ეკრა-- , რომელზეც დაკრულია დამცავი, ე.წ. „ბრონი“, რომელიც მარჯვენა ქვედა კუთხეში არის დაზიანებული ნაკაწრებით და ამოტეხვით. მარჯვენა ქვედა კუთხიდან მარცხნივ და ქვემოთ მიმართულია ბზარი, სიგრძით დაახლოებით 2 სმ. მეორე ბზარი არის ზიგზაგისებური, მიმართულია მარცხენა ზედა მხარისკენ და სიგანეზე გასდევს მთელ ეკრანს. მარცხენა კუთხეშიც არის ბზარი, რომელიც არის დაახლოებით ერთი სმ. მარცხენა ზედა კუთხეში დამცავი ასევე არის დაზიანებული, რომელზედაც არის ჩამოტეხვის და ბზარის კვალი, მარჯვენა ზედა კუთხეში დაზიანებულია დამცავი, რომელზედაც არის ჩამოტეხვის კვალი, მარჯვენა ზედა კუთხიდან მარცხნივ დაზიანებულია ტელეფონის ე.წ. კანტი, რომელზედაც არის ნაჭდევი, ტელეფონს უკანა მხრიდან, ვიდეო კამარების ქვემოთ გასდევს ვერცხლისფერი ვიწრო კანტი, ანალოგიური კანტი ტელეფონს აქვს ქვედა მხარესაც. ტელეფონს აქვს გვერდიდან ორი ღილაკი, ერთი მდებარეობს ზედა მხარეს და არის უფრო გრძელი, ხოლო მეორე - მოკლეა. ტელეფონის ძირზე არის ორი შესაერთებელი, ერთი არის ყურსასმენების, ხოლო მეორე - დასამუხტი. ტელეფონს, ცელოიდის დამცავ ჩარჩოზე აღენიშნება მარჯვენა კუთხეში გატეხვის კვალი, მარჯვენა ქვედა კუთხეში კი პატარა ბზარი, დამცავის უკანა მხარეს არის უამრავი ნაკაწრი და ნაფხაჭნი. დამცავზე აღნიშნულია ლათინური ასოებით „ჰუავეი“, რომელიც გაკეთებულია ტელეფონის ქვედა მარცხენა მხარეს. ამოღების ოქმებში მითითებული გარემოებები დაადასტურა ო-----ის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ გამომძიებელმა დ-----მემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ლ-----იამ აცნობა რა მათ ნ-----ძის ტელეფონის ფლობის ფაქტი, მისივე თანხმობით ამოიღეს ტელეფონი. ო-----ის რაიონული სასამართლოს 20-8 წლის 17 აგვისტოს განჩინებით, კანონიერად იქნა ცნობილი ო-----ის მუნიციპალიტეტის სოფელ ნ-----ნებში, ნ-----ძის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული საგამომიებო მოქმედება - ლ-----იასაგან ნ-----ძის მობილური ტელეფონის ამოღება.

2.1.19. 20-8 წლის 16 აგვისტოს ო-----ის რაიონული სამმართველოს უფროსს პატაკით მიმართა ამავე სამმართველოს დეტექტივების განყოფილების უფროსმა გ-----ემ და მოახსენა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ო-----ის მუნიციპალიტეტის სოფელ ნ-----ნებში რეგისტრირებულ, 2-- წელს დაბადებულ, აწ გარდაცვლილ ნ-----

მეს, სოც---ური ქსელის „ფ-----ის“ გამოყენებით მიმოწერა ჰქონდა ამავე სოც---ურ ქსელში „G-- C-----e“ სახელით რეგისტრირებულ მომხმარებელთან. აღნიშნულ მომხმარებელს სოც---ურ ქსელ „ფ-----ში“ პროფილის გვერდზე განთავსებული ქონდა მოქალაქე ნ-----ზ ა-----ის ძე ვ-----ის ფოტოსურათები. რომელიც სასჯელს იხდიდა საქართველოში პენიტენციურ დაწესებულებაში 07.1-20-7 წლიდან და კალენდარულად თავისუფლდება 07.1-20-9 წელს, ხოლო ამ პროფილით სარგებლობდა ქალაქ თ-----ში მეორე ნ-----ის დასახლება, მეშვიდე ქუჩა, მეორე ჩიხი N 5--ში რეგისტრირებული, ფაქტობრივად ქალაქი თ-----ი ისანი სამგორის ა-----ა მეორე ნ-----ის დასახლება, მეშვიდე ქუჩა, მეორე ჩიხი N 49-ში მცხოვრები, 3--0-1--- წელს დაბადებული, მ-----დ ი-----ს ძე თ-----ლი. ნ-----ძეს სოც---ურ ქსელ „ფ-----ის“ საშუალებით მიმოწერა ქონდა ამავე ქსელში „T-----i T-----i“-ს სახელით რეგისტრირებულ მომხმარებელთან, რომელსაც ნ-----ძესთან მიმოწერისათვის იყენებდა მ-----დ ი-----ს ძე თ-----ლი. სოც---ურ ქსელ „ფ-----ში“, მ-----ი „G-- C-----e“ სახელით მიმოწერების დროს აიძულებდა მუქარის და შანტაჟის გზით ნ-----ძეს გადაეღო მის თავზე უხამსი და სექსუალური ხასიათის შემცველი ვიდეოები, როგორც მარტო ასევე მეგობარ გოგონასთან ერთად და მიეწოდებია ისინი სოც---ურ ქსელ „ფ-----ის“ მიმოწერის ასევე ე.წ. მესენჯერის გამოყენებით, მომხმარებელ „G-- C-----e“ -ს პროფილზე. ასევე მის მიერ მიღებული ინფორმაციის თანახმად აწ გარდაცვლილი ნ-----ძე, თავის მეგობრებს ო-----ის მუნიციპალიტეტის სოფელ შ-----ში მცხოვრებ, 200-წელს დაბადებულ, ხ-----ეს და 200- წელს დაბადებულ, ც-----ს კუთვნილ მობილურ ტელეფონებზე უგზავნიდა სოც---ურ ქსელ „ფ-----ში“ „G-- C-----e“-ის სახელით დარეგისტრირებულ მომხმარებელთან გადაგზავნილ მიმოწერებსა და აუდიო და ვიდეო ფაილებს, რომლებიც მის ხელთ არსებული ინფორმაციით ინახება ხ-----ისა და ც-----ის მობილურ ტელეფონებში.

პატაკში მითითებული გარემოებები დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვის დროს ო-----ის რაიონული სამმართველოს დეტექტივების განყოფილების უფროსმა გ-----ემ და განმარტა, რომ ინფორმაცია მიიღო უცხო პირისგან და პირადი კონტაქტისგან. მისი ჩვენებით, ო-----ში პირადად ესაუბრა მ-----ს რა დროსაც მ-----დმა უთხა, რომ იცოდა ნ-----ს ასაკი, რომელიც იყო 15 წლის, მისი მშობლების და ძმის ვინაობა. მ-----დმა მასთან საუბარში ასევე აღნიშნა, რომ გ--- ც-----ის სახელით თხოვდა ნ-----ს უხამსი ვიდეოების გაგზავნას, ხოლო თავისი ტელეფონით წერდა, რომ გ---რგი ც-----ესთან გაარკვევდა ყველაფერს. თუმცა ორივე პროფილს თავად თვითონ იყენებდა. მ-----დი საუბრის დროს იყო დათრგუნული და ამბობდა, რომ ნ-----აფრთხილებდა, რომ თავს მოიკლავდა, თუმცა არ ეგონა თუ ამას ნამდვილად ჩაიდენდა.

2.1.20. 20-8 წლის 15 აგვისტოს, ო-----ის რაიონულ სამმართველოს განცხადებით მიმართა ა-----ემ, სადაც აღნიშნავს, რომ 20-8 წლის 15 აგვისტოს იმყოფებოდა მ-----ის სახლში რა დროსაც ნ-----ძის კუთვნილ ტელეფონზე, სოც---ურ ქსელ ფ-----ში მომხმარებელ გ--- ც-----ისგან შევიდა მესიჯი, რომელიც ემუქრებოდა ნ-----ს, თუ არ უპასუხებდა რაღაცის გაგზავნით, რის გამოც დაათვალიერა ნ-----ს ტელეფონი და ნახა „დასკრინშოტებული“ მიმოწერა მომხმარებელ გ--- ც-----ესთან, რომელიც შეიცავდა უხამსი შინაარსის სიტყვებს ნ-----ს მიმართ და თავისი ტელეფონით გადაუღო სურათები მიმოწერებს და მომხმარებელ თ-----ლთან ნ-----ს მიმოწერა, სადაც მოხსენიებული იყო ვინმე გ---. განცხადებას ერთვის მიმოწერის ფოტოასლები, სადაც „G-- C-----e“-ს სახელით რეგისტრირებული მომხმარებელი, ნ-----ძეს თხოვს ერთ წუთში მიწერას, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრება გაგზავნით. იგივე პირი ნ-----ძეს დეტალურად

აღუწერს სექსუალური ხასიათის მოქმედებებს და ავალებს მსგავსი ფორმის ვიდეოს გადაღებას. განცხადებას ერთვის "G- C-----e"-ს სახელით რეგისტრირებული მომხმარებლის, შეტყობინება ნ-----ძის ფ-----გვერდზე, სადაც ის გამოთქვამს წუხილს ნ-----ს გარდაცვალების გამო.

2.1.21. 20-8 წლის 16 აგვისტოს ამოღების ოქმით, თ-----ში, რ-----ის ქუჩა I- ჩიხი N5-ში მდებარე მ-----ის საცხოვრებელი სახლიდან ამოღებული იქნა: 1. HP ფირმის ნოუთბუქი, ვერცხლისფერი კორპუსით 2. IPHONE 4 S ფირმის მობილური ტელეფონი იმეი კოდით: 9-----. 3. თიბისი ბანკის სწრაფი გადახდის აპარატის ქვითარი, მიმღები შპს სქაიტელი, აბონენტი 0---2-, დათარიღებული 20-8 წლის 15 აგვისტოთი. HP ფირმის ნოუთბუქი იღო ოთახში, შესასვლელიდან მარცხენა მხარეს მდებარე მაგიდაზე, ჩართულ მდგომარეობაში და გახსნილი იყო ფ-----პროფილი „t-----i, t-----i“, რაზეც მ-----მა განმარტა, რომ ეს იყო მისი გვერდი ფ-----ზე. აღნიშნულის შემდეგ, ამოღებული იქნა კომპიუტერი. ამოღების ოქმებში მითითებული გარემოებები დაადასტურა გურიის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივ-გამომძიებელმა დ-----ემ და დამატებით აღნიშნა, რომ მ-----თან მივიდა უზნის ინსპექტორ-გამომძიებლებთან ა-----თან და მ-----სთან ერთად, განუმარტეს, რომ იყვნენ გურიის პოლიციის დეპარტამენტიდან. მ-----მა განუმარტა, რომ ელოდა პოლიციის მისვლას, რადგან იცოდა მომხდარის შესახებ. მ-----მა ასევე აცნობა, რომ ნ-----მესთან კავშირი ქონდა ნოუთბუქით და მობილურით რომლებსაც წარუდგენდა პოლიციას, ხოლო ტელეფონის სიმ ბარათზე აღნიშნა, რომ დაზიანდა და გადააგდო. დაცვის მხარემ საგამომძიებო მოქმედების მონაწილე პირების ა-----ის და მ-----ს მოწმის სახით დაკითხვა პროცესზე არ მოითხოვა უდავოდ მიიჩნია მათი გამოკითხვის ოქმები. ამოღების ოქმი ხელმოწერილია და მისი შინაარსი დადასტურებულია მ-----ის მიერ. ოქმს ხელს აწერს ამოღების ჩამტარებელი და ოქმის შემდეგი დ-----ე.

რ-----ის რაიონული სასამართლოს 20-8 წლის 18 აგვისტოს განჩინებით, კანონიერად იქნა ცნობილი თ-----ში, რ-----ის ქუჩა I- ჩიხი, N5-ში მდებარე მ-----ის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული საგამომძიებო მოქმედება - HP ფირმის ნოუთბუქის, Iphone 4 S ფირმის მობილური ტელეფონისა და თიბისი ბანკის სწრაფი გადახდის აპარატის ქვითრის - ამოღება.

2.1.22. მ-----ი გამოკითხა 20-8 წლის 16 აგვისტოს, 17 აგვისტოს და 18 აგვისტოს, რა დროსაც მ-----ს განუმარტეს რომ უფლება ქონდა ესარგებლა ადვოკატის მომსახურებით. გამოკითხვის ოქმების სისწორე დადასტურებული მ-----ის ხელმოწერით.

2.1.2- მ-----ის დაკავების ოქმით დადგენილია, რომ იგი დააკავეს 20-8 წლის 17 აგვისტოს 14:10 საათზე. დაკავების მომენტში მ-----ს განემარტა უფლებები და მათ შორის ადვოკატის ყოლის უფლება. დაკავების ოქმის გაცნობის და ბრალდებულის უფლებების განმარტების ფაქტს მ-----ი ადასტურებს დაკავების ოქმზე ხელმოწერით.

2.1.24. 20-8 წლის 17 აგვისტოს შედგენილი ოქმით მ-----მა ხელმოწერით დაადასტურა ბრალდებულის უფლება-მოვალეობათა ნუსხის ჩაბარების ფაქტი. ხოლო 20-

8 წლის 17 აგვისტოს ოქმით ბრალდებულისათვის უფლების განმარტების შესახებ, ბრალდებულ მ-----ს განმარტა უფლებები მათ შორის ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლება. ოქმში მოცემულია მ-----ის განმარტება, რომ ის მოცემული ეტაპისათვის არ საჭიროებდა ადვოკატის მომსახურებას და პირადად დაიცავდა თავის ინტერესს. ხოლო თუ გადაწყვეტდა ადვოკატის მომსახურებით სარგებლობას, თავად მიიწვევდა მისთვის სასურველ ადვოკატს. ოქმის სისწორე დადასტურებულია ბრალდებულ მ-----ის და ოქმის შემდგენის დეტექტივ-გამომძიებელ დ-----ის მიერ.

2.1.25. 20-8 წლის 17 აგვისტოს შედგენილი საგამომძიებო ექსპერიმენტის ოქმით მ-----
-----ს მიეცა პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის უფლება. ის დაჯდა კომპიუტერთან „ფ-----ის“ სოც-----ურ ქსელში შეიყვანა ნიკი 5-----, პაროლი „m-----
---“, პროფილი გაიხსნა და აღმოჩნდა, რომ პროფილზე მითითებულია „G- c-----e“-ს სახელი და გვარი. მ-----მა აღნიშნა, რომ ამ პროფილით სარგებლობს მხოლოდ ის. აღნიშნულ პროფილზე უცხო პირების შეღწევის თავიდან აცილების მიზნით უშუალოდ მ-----ის მიერ შეცვლილი იქნა პაროლი. მის მიერ დაყენებული იქნა ახალი პაროლი „a----- 20-8“. პაროლის შეცვლის შემდეგ გამოვიდა „G- c-----e“-ს პროფილიდან. შემდეგ მ-----მა შეიყვანა ნიკი: 5-81-6--2, პაროლი „m-----
--“, რის შემდეგაც გაიხსნა პროფილი. აღნიშნული პროფილის დასახელებას „T-----i, T-----i“. მ-----მა აღნიშნა, რომ ეს არის მისი პროფილი. მ-----მა პროფილზე შეცვალა ძველი პაროლი ახალი პაროლით „n----- 20-8“.

საგამომძიებო ექსპერიმენტის ოქმს ერთვის ფოტოსურათები სადაც აღბეჭდილია საგამომძიებო ექსპერიმენტის დაწყება, ასევე ადგილი სადაც მ-----ი მიუთითებს, რომ ფ-----ის გვერდი “g-----e“-ს სახელით შექმნა თავად (ფოტო N1). ფოტოსურათზე მოცემულია მ-----ის მიერ გახსნილი “g-----e“-ს სახელით შექმნილი “ფ-----ის“ გვერდი (ფოტო N2-N6). ფოტოსურათზე ასევე აღბეჭდილია “ფ-----“ გვერდის მომხმარებლის გრაფაში როგორ მიუთითებს მ-----ი მომხმარებლის მონაცემებს „995-----“ და წერს პაროლს, რომლითაც იხსნება “g-----e“-ს სახელით შექმნილი გვერდი (ფოტო N 7 და N 8).

მ-----ი ფოტოსურათებზე ასევე მიუთითებს თავის მიერ შექმნილ “ფ-----ის“ გვერდს „T-----i, T-----i“, შესაბამის გრაფაში შეყავს მომხმარებლის სახელი და პაროლი და ხსნის პროფილს (ფოტო N 9-N 14).

საგამომძიებო ექსპერიმენტის ოქმს ხელს აწერენ ბრალდებული მ-----ი, საგამომძიებო ექსპერიმენტში მონაწილე პირები ექსპერტი ნ-----ზ გ-----გამე და უმცროსი ინსპექტორი გ-----ე და საგამომძიებო ექსპერიმენტის ჩამტარებელი და ოქმის შემდგენი მ-----ია. ოქმის შენიშვნების გრაფაში რაიმე სახის შენიშვნა დაფიქსირებული არ არის.

პირდაპირი განზრახვის აუცილებელი ელემენტებია სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედების შემადგენლობის ნიშნების გათვალისწინება და მათი რეალურ ცხოვრებაში განხორციელების სურვილი. პირდაპირ განზრახვას მიეკუთვნება ისეთი შემთხვევაც, როცა მოქმედეს არ სურდა თავისი ქმედების შედეგი, მაგრამ ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას (ოთარ გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თ-----ი, 2005, გვ. 10-). განზრახ დელიქტებში, ქმედების შემადგენლობის განზრახვა ქმედების მიზანსა და მიმართულებას განსაზღვრავს. როგორც ქმედების პერსონალური უმართლობის ბირთვი, ის უმართლობის სუბიექტური შემადგენლობის ზოგად ნიშანს და ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის სუბიექტური შერაცხვის საფუძველს წარმოადგენს (იოჰანეს ვესელსი/ვერნერ ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, 38-ე გადაამუშავებული გამოცემა, ქართული გამოცემის სამეცნიერო რედაქტორი ირაკლი დვალაძე, მთარგმნელი ზურაბ არსებშივილი, გვ. 1-8).

სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში

მტკიცებულება წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს, რომელმაც შეიძლება დაადასტუროს ან უარყოს ბრალდებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი. მტკიცებულებების მეშვეობით სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82.1 მუხლით მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. ამ ნორმის თანახმად, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირმა უნდა შეამოწმოს, არის თუ არა წარმოდგენილი მტკიცებულება კანონით დაშვებული, შეიცავს თუ არა ის საქმისთვის რელევანტურ, მნიშვნელოვან ინფორმაციას, კანონით დადგენილი წესით შეამოწმოს, რამდენად ადასტურებს იმ ფაქტსა თუ გარემოებას, რომლის დასამტკიცებლადაც არის წარმოდგენილი. თავის მხრივ, მტკიცებულების უტყუარობას - კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაციის სანდოობას განაპირობებს ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი ან უზრუნველყოფილი მისი შემოწმება.

სისხლის სამართლის პროცესში მოწმის ჩვენება მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ის შეიძლება იყოს ინფორმაციის ერთ-ერთი, ზოგჯერ კი ყველაზე მნიშვნელოვან -- წყარო. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც მოწმის ჩვენების სანდოობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმს წარმოადგენს. დაცვის მხარის არგუმენტაციის საწინააღმდეგოდ, რომ საქმეში, მოწმეთა ჩვენებები წარმოადგენდა ირიბ მტკიცებულებას, სასამართლო მიუთითებს ადამია--ს უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ მინიმალურ სტანდარტზე, სახელდობრ, იმისთვის, რომ ირიბი ჩვენების გამოყენებამ არ გამოიწვიოს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, შემდეგი ორი პირობა უნდა იქნეს დაცული: უნდა არსებობდეს მოწმის სასამართლოში არგამოცხადების მნიშვნელოვან -- მიზეზი ან/და ირიბი ჩვენება არ უნდა წარმოადგენდეს განაჩენის არსებით ან ერთადერთ საფუძველს (ადამია--ს უფლებათა ევროპული სასამართლოს 20-1 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე "Al-Khawaja and Tahery v. The United Kingdom", საჩივრები: N2-766/05 და N22228/06 და გადაწყვეტილება საქმეზე „Horncastle and Others v. The United Kingdom“ საჩივარი: N4-8-/10).

სასამართლო აქვე განმარტავს, რომ სქესობრივი დანაშაულები, როგორც წესი, არ გამოირჩევა მოწმეთა სიმრავლით, რაც ლოგიკურია ამ კატეგორიის დანაშაულების ბუნებიდან გამომდინარე. მართალია წინამდებარე შემთხვევაში, ნ-----ძეს და მ-----ს შორის სოც-----ური ქსელით თუ მობილური ტელეფონით მიმოწერის ფაქტს სხვა პირი პირადად არ შესწრებია, თუმცა სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ-----ძის მიერ ხ-----ისა და ც-----ისათვის მიწოდებული ინფორმაცია, რომ მას, სოც-----ური ქსელით მიმოწერა ქონდა „გ-----ე“-ს სახელით რეგისტრირებულ მომხმარებელთან, რომელსაც უთხრა, რომ იყო 15 წლის (პუნქტი 2.1.1- და 2.1.1-), აღნიშნულ პირთა ჩვენებებს, რომელიც მათ უშუალოდ ნ-----ძისაგან მიიღეს ა--ჭებს პირდაპირი მტკიცებულებების მნიშვნელობას. სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ დაცვის მხარის პოზიციის გაზიარების შემთხვევაშიც კი, წინამდებარე საქმეში დაცულია ადამია--ს უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი მინიმალური სტანდარტი, რადგან ინფორმაციის წყაროს არგამოცხადების მნიშვნელოვან -- მიზეზი, რაც გამოწვეულია ნ-----

-----ძის გარდაცვალებით, დადგენილია. გარდა ამისა სასამართლო იზიარებს ბრალდების მხარის პოზიციას, რომ მ-----ს და ნ-----ძეს შორის არსებობდა ძალიან ახლო ურთიერთობა, მათ გარკვეული დროის განმავლობაში ყოველდღიურად ჰქონდათ მიმოწერა, საიდანაც ჩანს რომ მ-----ი ნ-----ძის პირადი ცხოვრების ყველა დეტალი იცოდა (პუნქტი 2.1.34.). ასევე დადგენილია, რომ მიმოწერის დროს მ-----ი იყო 22 წლის, ხოლო ნ-----ძე 15 წლის (პუნქტი 2.1.3-.). აღნიშნული პირდაპირი მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ მ-----მა იცოდა, რომ ნ-----ძე იყო 15 წლის და ქმედების ჩადენის დროს იგი მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით.

საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით უტყუარად დადგინდა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მ-----ი სოც-----ურ ქსელ „F-----k“-ში სარგებლობდა ორი პროფილით: „G- C-----e“ და “T-----i T-----i”. სასამართლოს მიაჩნია, რომ სათანადოდ უნდა შეფასდეს მ-----ის თანხმობით და უშუალო მონაწილეობით ჩატარებული საგამომიებო ექსპერიმენტის ოქმი, მასში წარმოდგენილი ფოტოდოკუმენტებით, რომლებზეც აღბეჭდილია ამ ექსპერიმენტის მიმდინარეობა. სასამართლო სხდომაზე დაიკითხნენ მოწმის სახით ის პოლიციელები, რომლებიც აღნიშნულ საგამომიებო ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ. სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან სასამართლოში ბრალდებულმა უარყო საქმის წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემული ყველა ჩვენება, ამის გამო, ის ინფორმაცია, რომელიც გამომძიებლებმა საგამომიებო ექსპერიმენტისას მიიღეს ადგილზე შემოწმებული ჩვენების სახით, ვერ იქნება გამოყენებული ბრალის დამადასტურებელ მტკიცებულებად. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საგამომიებო ექსპერიმენტის ოქმი მთლიანად დაუშვებელი მტკიცებულებაა და მასში ასახული სხვა მონაცემები და ფაქტები საერთოდ ვერ იქნება მტკიცებულებად გამოყენებული. სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის (20-6 წლის 28 აპრილის განაჩენი საქმეზე N 23-56-აპ.-15) განმარტებაზე, რომ „საგამომიებო ექსპერიმენტის დროს ზ. ტ-სა და ვ. გ-ს ჩვენება არ მიუციათ, არამედ ვითარება აღადგინეს იმ ხერხების დემონსტრირებით, რაც მათ გამოიყენეს ბრალდების მხარის მიერ მათთვის დანაშაულად შერაცხული ქმედების ჩასადენად. ქმედების ჩადენის ვითარების აღდგენა კი ჩვენებად ვერ იქნება მიჩნეული, რის გამოც მის მიმართ არ ვრცელდება მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა. ამასთან, ბრალდებულის მიერ საგამომიებო ექსპერიმენტის დროს ქმედების ჩადენის ვითარების აღდგენის ამსახველი ოქმი, რომელიც შედგენილ იქნა აღნიშნული საგამომიებო მოქმედების ჩატარებისას, მისი შინაარსიდან გამომდინარე, წარმოადგენს პირდაპირ მტკიცებულებას, რომელიც სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის დადგენისა და დასაბუთებისათვის. თუმცა, იმავეს თქმა შეუძლებელია საგამომიებო ექსპერიმენტის დროს ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების (ინფორმაციის) თაობაზე, რადგან ამ უკანასკნელზეც ვრცელდება ის ზოგადი შემზღუდავი წესი, რაზედაც პირდაპირ არის მითითებული მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის 1-ელ ნაწილში“.

აღნიშნული განმარტების შესაბამისად, მ-----ის მონაწილეობით, ჩატარებული საგამომიებო ექსპერიმენტის ოქმი წარმოადგენს დასაშვებ და რელევანტურ მტკიცებულებას, გარდა იმისა, რომელიც წარმოადგენს აღიარებითი ჩვენების ნაწილს. მითითებულ ოქმში წარმოდგენილია ამ ექსპერიმენტის მიმდინარეობის ამსახველი

მრავალი ფოტოდოკუმენტი, რომლებითაც დგინდება ის გარემოება, რომ ექსპერიმენტის დროს ბრალდებული „F-----k“-ში არსებულ პროფილებზე „G-- C-----e“ და „T-----i T-----i“ თავად მიუთითებს როგორც მომხმარებლის სახელს ასევე პაროლს (პუნქტი 2.1.25). საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს ხელს აწერს მ-----ი და მას რაიმე შენიშვნა საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით არ დაუფიქსირებია. ამდენად, საქმეში არსებობს უტყუარი მტკიცებულებები, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმზე დართული ფოტოსურათები, რომლებიც ადასტურებენ მ-----ის მიერ სოც-----ურ ქსელში, პროფილებით - „G-- C-----e“ და „T-----i T-----i“ სარგებლობის ფაქტს. სასამართლო აქვე შენიშნავს, რომ მომხმარებლის სახელი შესაძლოა იცოდეს ნებისმიერმა პირმა, თუმცა პაროლი, ცნობილია მხოლოდ თავად პროფილის შემქმნელისათვის, რაც გამორიცხავს სხვა პირთა მიერ, საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს, მ-----ისათვის ამ მონაცემების მიწოდებას. სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას ასევე ამყარებს „F-----k“-ის ამერიკის ოფისიდან, სასამართლოს განჩინების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია, რომლითაც უტყუარად დადგინდა, რომ „F-----k“-ზე რეგისტრირებული მომხმარებელი სახელით „T-----i T-----i“, და მომხმარებელი სახელით „G-- C-----e“, ძირითადად სარგებლობდა ერთი IP მისამართით: 1--.1--.2--.2-4 (პუნქტი 2.1.38.). ასევე, დადგენილია, რომ მობილური ტელეფონის ნომრით 5-8 1- 6- 1- სარგებლობდა მხოლოდ მ-----ი (პუნქტი 2.1.1- და 2.1.3-). ასევე დადგენილია, რომ ტელეფონის ნომრით 5--4-4--2- სარგებლობდა მ-----მე (პუნქტი 2.1.1. და 2.1.3-). დადგენილია, რომ მ-----მის სარგებლობაში არსებულ ნომერსა 5--4--1-6 და მ-----ის სარგებლობაში არსებულ ნომერს 5-8-1-6-1-2 შორის 20-8 წლის 27 ივნისს დაიწყო კომუნიკაცია რაც გრძელდება თითქმის ყოველდღიურად 20-8 წლის 15 აგვისტოს 15:3- საათის ჩათვლით (პუნქტი 2.1.2-). აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს უტყუარად დადგენილად მიაჩნია, რომ მ-----ი არის ის პიროვნება, რომელიც სოც-----ურ ქსელ „F-----k“-ში სარგებლობდა ორი პროფილით: „G-- C-----e“ და „T-----i T-----i“, მასვე ეკუთვნის ტელეფონის ნომერი 5-8 1- 6- 1- და კომუნიკაციის აღნიშნული საშუალებებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქონდა, ყოველდღიური კონტაქტი მ-----მესთან.

მ-----ის პირდაპირი ჩვენებით დადგენილია, რომ იმყოფებოდა მ-----მის ოთახში, როდესაც მ-----მის ტელეფონზე მივიდა მოკლე ტექსტური შეტყობინება, სადაც ვინმე „G-- C-----e“ ემუქრებოდა მ-----ს, რომ თუ არ უპასუხებდა, ვიდეოს გააგზავნიდა. დაიწყო ტელეფონის შემოწმება და ნახა რამდენიმე „დასკრინშოტებული“ ძალიან ბილწი და ამორალური მიმოწერა „G-- C-----e“-სთან. ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე მ-----ს მიმართ იყო მოთხოვნა, რომ უნდა გადაეღო ვიდეო მეორე გოგონასთან ერთად და ასწავლიდა ზუსტ მოქმედებებს, სად უნდა დაედო ხელი და სად პირი, უნდა გამოეცათ სასიამოვნო ხმები (პუნქტი 2.1.10.). საქმეში წარმოდგენილია მიმოწერის ფოტოასლები, სადაც „G-- C-----e“-ს სახელით რეგისტრირებული მომხმარებელი, მ-----მეს დეტალურად აღუწერს სექსუალური ხასიათის მოქმედებებს და ავალებს მსგავსი ფორმის ვიდეოს გადაღებას (პუნქტი 2.1.20.).

მ-----ის საცხოვრებელი სახლიდან ამოღებულ იქნა მ-----ის კუთვნილი HP ფირმის ნოუთბუქი, ვერცხლისფერი კორპუსით და IPHONE 4 S ფირმის მობილური ტელეფონი იმეი კოდით: 9----- (პუნქტი 2.1.21.). N259-2/კ-ტ დასკვნით და ფოტოცხრილით დასტურდება, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილი მ-----ის კუთვნილი HP ფირმის ნოუთბუქის მყარი დისკიდან სერიული ნომრით „1-----

-” აღდგენილი და ამოღებული იქნა გრაფიკული ფოტო, ვიდეო, აუდიო ფაილები და სოც--
—ური ქსელი F-----k-ით განხორციელებული მიმოწერა, რაც ჩაიწერა DVD დისკებზე
(პუნქტი 2.1.4-). დათვალიერების ოქმით, დადგინდა, რომ N 259/-2კ-ტ დასკვნასთან
ერთად მიღებულ DVD დისკებზე აღმოჩნდა სხვადასხვა ვიდეოფაილები, მათ შორის
ვიდეოფაილები, რომლებსაც მინიჭებული აქვს სახელი-file 28-, file396, file40-, file406, file4-
5, file586. აღნიშნულ ფაილებში არსებულ ვიდეოჩანაწერში რომლებსაც მინიჭებული აქვს
სახელი file10, file28, file35-, file 362, file74-, file73-, file4, file18, file3-, file347, file400, file40-,
file1-, file48, file353, file477, file652, file693, file38- (ვიდეოფაილებზე არსებული
სექსუალური ჩანაწერის აღწერილობა მოცემულია პუნქტში 2.1.35).

ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის N00-35-3-9 დასკვნით დადგენილია, რომ
ვიდეოჩანაწერებში სახელწოდებით: „file 38-“, „file 396“, „file 40-“, „file 406“, „file 4-5“,
„file 586“ და „file 74-“ ასახული იყო ნ-----ძე. ვიდეოჩანაწერების, სახელწოდებით:
„file 4“, „file 10“, „file 1-“, „file 18“, „file 28“, „file 48“, „file 3--“, „file 347“, „file
353“, „file 35-“, „file 362“, „file 38-“, „file 400“, „file 40-“, „file 477“, „file 652“, „file
693“, „file 73-“, „file 74-“ გახსნისას ჩანს მდებარეობითი სქესის პირის გენიტალიური
ორგანოები, გენიტალიები. გამოკვლევად წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერები
სახელწოდებით: „file 4“, „file 10“, „file 1-“, „file 18“, „file 28“, „file 48“, „file 3--“,
„file 347“, „file 353“, „file 35-“, „file 362“, „file 38-“, „file 400“, „file 40-“, „file 477“,
„file 652“, „file 693“, „file 73-“, „file 74-“ მოიცავს მდებარეობითი სქესის პირის
შიშველი სხეულის გამოსახულებას, მათ შორის, ვიდეოჩანაწერები სახელწოდებით: „file
4“, „file 18“, „file 195“, „file 3--“, „file 347“, „file 400“, „file 40-“, „file 73-“, „file
74-“ წარმოადგენს ცალსახად, პორნოგრაფიული ხასიათის მასალას, სადაც ასახულია
მდებარეობითი სქესის პირის შიშველი სხეული, გენიტალიები, მასტურბაციის სცენები.
მოცემული ვიდეოჩანაწერები არ ატარებს მხატვრულ-ესთეტიკურ ფუნქციას და
მიმართულია პორნოგრაფიული ხასიათის ქმედების ჩვენებაზე. ექსპერტის ინიციატივით
ჩატარებული კვლევებით, გამოსაკვლევად წარმოდგენილ ვიდეოჩანაწერებზე
სახელწოდებით: „file 38-“, „file 396“, „file 40-“, „file 406“, „file 4-5“, „file 586“, „file 4“, file
10“, „file 1-“, „file 18“, „file 28“, „file 48“, „file 3--“, „file 347“, „file 353“, „file 35-“, „file
362“, „file 38-“, „file 400“, „file 40-“, „file 477“, „file 652“, „file 693“, „file 73-“, „file 74-“
მონტაჟის ნიშნები არ გამოვლინდა (პუნქტი 2.1.46.).

ამდენად, უტყუარად დადგინდა, რომ მ-----ი, სოც-----ურ ქსელ “F-----k”-ზე,
“G-- C-----e”-ს სახელით რეგისტრირებული პროფილით, ფსიქოლოგიური
(ინტელექტუალური) ზემოქმედების გზით აიძულებდა ნ-----ძე სექსუალური
ხასიათის მოქმედებების, ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის N00-35-3-9 დასკვნაში აღწერილი
ფორმით, გადაღებას და გაგზავნას. ამასთან, ასწავლიდა ნ-----ძეს, კონკრეტულად
რა სექსუალური მოქმედება, სხეულის რომელ ნაწილზე, როგორი ზემოქმედებით უნდა
შეესრულებინა, რითაც გარყვნა 15 წელს მიულწეველი ნ-----ძე და შეაფერხა ნ-----
ძის ნორმალური ზნეობრივი განვითარება. სასამართლო აღნიშნავს, რომ მ-----
ის ქმედება ეწინააღმდეგება, ადამიანთა შორის საყოველთაოდ მიღებულ ზნეობის
ნორმებს და იგი წარმოადგენს გარყვნილ ქმედებას.

2.2.3. თვითმკვლევობამდე მიყვანა მსხვერპლისადმი მუქარით, სასტიკი მოპყრობით და
მისი პატივის და ღირსების სისტემატური დამცირებით.

სასამართლო განმარტავს, რომ თვითმკვლელობამდე მიყვანა--ს დროს სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიან--ს სიცოცხლე და ჯანმრთელობა. თვითმკვლელობამდე მიყვანა უნდა გამოიხატებოდეს მსხვერპლის მიმართ დამნაშავის მიერ რიგი არამართლზომიერი ქმედების ჩადენაში. თვითმკვლელობამდე მიყვანა შეიძლება განხორციელდეს მუქარით, სასტიკი მოპყრობით, პატივის ან ღირსების სისტემატური დამცირებით. იმისათვის, რომ პირს ბრალად შეერაცხოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-5-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება აუცილებელია, რომ აღნიშნული მუხლის დისპოზიციაში ჩამოყალიბებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს, ან შედეგის საფრთხეს შორის არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. სასამართლო განმარტავს, რომ დაზარალებულის მიმართ სასტიკი მოპყრობა გულისხმობს ისეთ ქმედებათა ჩადენას, რომელიც დაზარალებულს განსაკუთრებულ ფიზიკურ ან ზნეობრივ ტანჯვას აყენებს. იგი შეიძლება სისტემატურ ხასიათს ატარებდეს ან კიდევ ერთჯერად აქტს წარმოადგენდეს. სასტიკი მოპყრობა, როგორც თვითმკვლელობამდე მიყვანა--ს საშუალება, შეფასებითი ცნებაა. სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშან--ა თვითმკვლელობის ან მისი მცდელობის ფაქტის არსებობა. დანაშაული დამთავრებულია ზემოქმედების განხორციელების მომენტიდან. დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშან--ა დამნაშავის მოქმედებასა და დაზარალებულის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 8.1 მუხლით, თუ ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დანაშაული მხოლოდ მაშინ ითვლება დამთავრებულად, როდესაც ქმედებამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია ან ასეთი შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე შექმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ ქმედებასა და შედეგს ან საფრთხეს შორის. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა.

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-5-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგის დადგენა ხდება ადამიანზე სხვადასხვა სახის ზემოქმედების მეშვეობით, რის გამოც ქმედების დამთავრებულად ცნობისათვის სავალდებულოა თვითმკვლელობამდე მიყვანა. წინამდებარე შემთხვევაში კი ნ-----მემ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. შესაბამისად აუცილებელია დადგინდეს არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი მ-----ის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

სასამართლო განმარტავს, რომ წინამდებარე სისხლის სამართლის საქმეზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირდაპირ მტკიცებულებას წარმოადგენს წერილი, რომელიც თვითმკვლელობამდე დაწერა ნ-----მემ. Nგრ /1-3 გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნით და თანდართული ფოტოებით დასტურდება, რომ ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი ხელნაწერი ტექსტი, რომელიც წინა გვერდზე იწყება სიტყვებით: „დედი, ჩემო კარგო, ...“ და უკანა გვერდზე მთავრდება სიტყვებით „... ილოცე ჩემი სულისათვის. მშვიდობით“ და ხელნაწერი ტექსტი და რიცხობრივ ჩანაწერები, რომელიც იწყება სიტყვებით „ტელეფონი: 193-4.....“ მთავრდება სიტყვებით „Viber

WhatsApp” შესრულებულია ნ-----ძის მიერ (პუნქტი 2.1.4-). წერილში, არაორაზროვნად და მკაფიოდ არის მითითებული რამ მიიყვანა ნ-----ძე თვითმკვლელობამდე. ნ-----ძე მიმართავს დედას და ამბობს, რომ სოც---ური ქსელით გაცნობილმა პირმა, სახელით „გ---რგი“, მასზე მოახდინა გავლენა „ძალიან ბევრი საზიზღრობა ვიდეო გადააღებინა და გააგზავნინა“, შემდეგ კი დაიწყო ნ-----ძის შანტაჟი ამ ვიდეოებით, რომ თუ კვლავ არ გადაიღებდა სექსუალური ხასიათის ვიდეოებს, უკვე გაგზავნილ ჩანაწერებს გაასაჯაროებდა. ნ-----ძე წერს, რომ ასეთი სიცოცხლე აღარ შეეძლო, დაიღალა და სურდა „იმ ავადმყოფს“ მოშორდეს (პუნქტი 2.1.17.). ნ-----ძის მიერ წერილში მოცემული ინფორმაცია დადასტურდა საქმეზე შეკრებილი არაერთი მტკიცებულებით, კერძოდ ჰაზიდოსკოპიური ექსპერტიზის N00-35-3-9 დასკვნით დადასტურდა, რომ მ-----ის კომპიუტერიდან ამოღებულ ფაილებში, ვიდეოზე აღბეჭდილი იყო ნ-----ძე, ჩანაწერზე მონტაჟის ნიშნები არ აღინიშნებოდა, ხოლო თავად ვიდეოჩანაწერები არ ატარებდა მხატვრულ-ესთეტიკურ ფუნქციას და მიმართული იყო პორნოგრაფიული ხასიათის ქმედების ჩვენებაზე (პუნქტი 2.1.45). მ-----ი ფაქტობრივად სრულ გავლენას ინარჩუნებდა ნ-----ძის პიროვნებაზე, რადგან ერთის მხრივ სოც---ურ ქსელ „F----k“-ზე, შექმნილი პროფილით „G-- C-----e“-ს მუქარით და შანტაჟით აიძულებდა გადაეღო სექსუალური ხასიათის ვიდეოები, ხოლო მეორე პროფილით „t-----i - t-----i“ არწმუნებდა მას, რომ უნდა გადაეღო და გაეგზავნა მსგავსი ვიდეოები. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს ნ-----ძეს და მ-----ს შორის არსებული მიმოწერის შეფასებით (პუნქტი 2.1.34.). მ-----ის პირდაპირ განზრახვაზე, რომ თავისი ქმედებით ნ-----ძე მიიყვანა თვითმკვლელობამდე, მეტყველებს ის გარემოება, რომ ნ-----ძე, მ-----ს, რომელსაც მიმართავს სახელით გ---, არაერთხელ ეუბნება, რომ იგი აქციეს მარიონეტად, აიძულებდნენ „საზიზღრობების“ გაკეთებას, გადაღებას და გაგზავნას, რაც მას გააგიჟებდა და თვითმკვლელობამდე მიიყვანდა. ნ-----ძე მიმოწერებში წერს, რომ მას ეშინია და ვეღარ უძლებდა იმ ზეწოლას, რასაც მასზე ახდენდნენ, მას ერჩივნა სიკვდილი ვიდრე იმის გაკეთება რასაც აიძულებდნენ. მ-----ი კი მოუწოდებს ნ-----ს დამშვიდდეს, არწმუნებს მას, რომ იძულებით იღებდა რა ვიდეოებს ამ ფაქტზე არ უნდა ენერვიულა, რადგან ნ-----ს სხვა გზა არ ჰქონდა (პუნქტი 2.1.34.). წარმოდგენილი მიმოწერები ცხადად წარმოაჩენენ, როგორც მ-----ის პიროვნებას, ასევე მისი ინფორმირებულობის ხარისხს. კერძოდ, მ-----მა იცოდა, რომ ნ-----ძე, მასზე განხორციელებული მუქარის, სასტიკი მოპყრობის, მისი პატივის და ღირსების სისტემატური დამცირების გამო ფიქრობდა თვითმკვლელობას, თუმცა მ-----ი არათუ წყვეტს ქმედების ჩადენას, არამედ ზეწოლის ხარისხს ზრდის და არაერთხელ წერს ნ-----ძეს, რომ დროულად გადაეღო ის რასაც თხოვდნენ, რადგან იმ პირს შესაძლოა გამოექვეყნებინა უკვე გაგზავნილი ინფორმაცია (პუნქტი 2.1.34.). სასამართლო აღნიშნავს, რომ ნ-----ძე, 15 წლის მოზარდისათვის რთულად გადასალახ მუქარის და სასტიკი მოპყრობის ქვეშ აღმოჩნდა, რასაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში თან სდევდა მისი პატივის და ღირსების დამცირება. ნ-----ძეს, მ-----მა ასევე მოთხოვა, სხვა არასრულწლოვან გოგონასთან ერთად სექსუალური ხასიათის ვიდეოს გადაღება (პუნქტი 2.1.20.) და თვითმკვლელობის დღის ჩათვლით განაგრძობდა მოთხოვნას, რომ გადაეღო რასაც თხოვდნენ და გაეგზავნა (პუნქტი 2.1.34. და 2.1.27.). აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება ასევე დადგენილია ა-----ის ჩვენებით, სადაც ის აღნიშნავს, რომ ნ-----ს ტელეფონზე შევიდა სმს-ი გ---რგი ც-----ისგან, რომელიც ემუქრებოდა, რომ თუ არ უპასუხებდა ნ-----, ვიდეოს გააგზავნიდა. ნ-----ს ტელეფონში ნახა გ---რგი ც-----ესთან მიმოწერა, სადაც გ---რგის მხრიდან, ნ-----ს მიმართ იყო მოთხოვნა,

რომ უნდა გადაეღო ვიდეო მეორე გოგონასთან ერთად და ასწავლიდა ზუსტ მოქმედებებს, სად უნდა დაედო ხელი და სად პირი, უნდა გამოეცათ სასიამოვნო ხმები და ვიდეო უნდა ყოფილი დაახლოებით 10 წუთია-- აღნიშნული მესიჯები იყო თვითმკვლელობამდე წინა დღით გაგზავნილი (პუნქტი 2.1.10.). როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ბოლო მოთხოვნა ნ-----ძემ ვერ შეასრულა.

სამედიცინო ექსპერტიზის N0----- დასკვნით დასტურდება, რომ ნ-----ძის გვამის სამედიცინო გამოკვლევის, ჰისტოლოგიური და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე, ნ-----ძის სიკვდილის მიზეზი არის მექა--კური ასფიქსია ზემო სასუნთქი გზების - გადაკეტვა დახშობა სამარყუე მასალის ჩაჭერის შედეგად (პუნქტი 2.1.39.). ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის N0086475-8 დასკვნით დადგინდა, რომ პაკეტში, წარწერით „... თოკი, რომელიც გადაბმულია...“ მოთავსებული თოკის შედარებით დიდი ზომის მარყუეებზე არსებული ბიომასალის (ობ. N5) გენეტიკური პროფილი და ნ-----ძის (ობ. N15) გენეტიკური პროფილი იდენტურია (პუნქტი 2.1.4-). სასამართლოს მიერ მოხმობილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ ნ-----ძემ, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული თოკით, საცხოვრებელი სახლის აივანზე, ჩამოიხრჩო თავი.

კონკრეტულ შემთხვევაში მტკიცებულებათა ერთობლივი ანალიზი, სასამართლოს დასკვნით, ადასტურებს, რომ ნ-----ძე მ-----ძის მხრიდან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ექვემდებარებოდა ფსიქოლოგიურ ძალადობას, მუქარას, სასტიკ მოპყრობას და მისი პატივის და ღირსების სისტემატურ დამცირებას, რაც თავის მხრივ აისახა ნ-----ძის ფსიქიკაზე. ამავე მტკიცებულებებით დასტურდება, რომ გარდაცვალების დღეს მ-----ძი ფსიქოლოგიურ ზეწოლას აგრძელებდა ნ-----ძეზე, რაც უდავოდ წარმოადგენს ნ-----ძის მიმართ სასტიკ მოპყრობას.

რაც შეეხება თავად თვითმკვლელობის ფაქტს, სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდების მხარემ წარმოადგინა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტისათვის საჭირო მტკიცებულებების ერთობლიობა იმის დასადგენად, რომ 1. ნ-----ძემ ნამდვილად ჩაიდინა თვითმკვლელობა 2. თვითმკვლელობა განპირობებული იყო ნამდვილად მ-----ძთან არსებული მიმოწერით რომლითაც ის აშანტაჟებდა, რომ გამოაქვეყნებდა სექსუალური ხასიათის ვიდეოჩანაწერებს და ფოტოსურათებს, რომლებზეც ნ-----ძე იყო ასახული. როგორც უკვე აღინიშნა, ვიდეოჩანაწერები გამოძიების მიერ ამოღებულ იქნა მ-----ძის ლეპტოპიდან, სადაც ნ-----ძეს გამოსახულებით არსებული ჩანაწერები შეფასდა, როგორც პორნოგრაფიული ნაწარმოები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მ-----ძი მოქმედება განზრახ და მ-----ძის განზრახ ქმედებას და ნ-----ძის თვითმკვლელობას შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, რამდენადაც ბრალდებულის მოქმედება იყო ნ-----ძის თვითმკვლელობის აუცილებელი პირობა, ურომლისოდაც აღნიშნული შედეგი არ დადგებოდა.

2.2.4. სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას მ-----ძის უდანაშაულობის თაობაზე, ვინაიდან საქმეში არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების დაცვით მოპოვებული, უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების

ერთობლიობა, რომლითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულია მ-----ის მიერ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა. აღნიშნული მტკიცებულებები გამოკვლეულია სასამართლოში მხარეთა მონაწილეობით საქმის განხილვისას, რა დროსაც დაცვის მხარეს ჰქონდა სრული შესაძლებლობა, რომ ჯეროვნად წარმოედგინა და ემტკიცებინა თავისი პოზიცია ბრალდებასთან დაკავშირებით.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, არ არის სავალდებულო, სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეების მიერ წამოჭრილ ყველა არგუმენტს სცემდეს დეტალურ პასუხს (ადამია--ს უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Suominen v. Finland*, 24/07/200-; № 3-80-/97; §34; ასევე *Van de Hurk v. the Netherlands*, №160-4/9-; 19/04/1994; §6-). მთავარია, ეროვნულმა სასამართლოებმა ნათლად დაასახელონ თავისი მსჯელობის განმაპირობებელი ასპექტები, განსაკუთრებით კი ისეთები, რომლებიც გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში (ადამია--ს უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Georgiadis v. Greece*, № 21522/93; 29/05/1997; §4-).

2.2.4.1. სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, რომ მ-----ს შეეზღუდა ადვოკატით სარგებლობის უფლება, რამაც გამოიწვია ბრალდებულის ძირითადი უფლებების დარღვევა. მ-----ი გამოიკითხა 20-8 წლის 16 აგვისტოს, 17 აგვისტოს და 18 აგვისტოს, რა დროსაც მ-----ს განუმარტეს რომ უფლება ჰქონდა ესარგებლა ადვოკატის მომსახურებით. მ-----ი დააკავეს 20-8 წლის 17 აგვისტოს 14:10 საათზე. დაკავების მომენტში მ-----ს განემარტა უფლებები და მათ შორის ადვოკატის ყოლის უფლება. მ-----ს დამატებით წერილობით განემარტა უფლებები მათ შორის ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლება. მ-----მა ასევე წერილობით განმარტა, რომ ის მოცემული ეტაპისათვის არ საჭიროებდა ადვოკატის მომსახურებას და პირადად დაიცავდა თავის ინტერესს. ხოლო თუ გადაწყვეტდა ადვოკატის მომსახურებით სარგებლობას, თავად მიიწვევდა მისთვის სასურველ ადვოკატს (პუნქტები 2.1.22., 2.1.2- და 2.1.24.). მოხმობილი მტკიცებულებების შეფასების შედეგად სასამართლოს მიაჩნია, რომ მ-----ს, სამართალდამცავ ორგანოებთან პირველი შეხვედრიდან, სრულყოფილად ჰქონდა განმარტებული შესაბამისი უფლებები და მას ჰქონდა საშუალება ესარგებლა ადვოკატის მომსახურებით.

2.2.4.2. დაცვის მხარემ მიუთითა, რომ ნ-----მის მიერ დატოვებული წერილი შესრულებული იყო „ადამიანური სტრესის და ემოციის გარეშე, სწორად და ნაწერი იყო გაფორმებული, ყოველგვარი ემოციური დატვირთვის გარეშე და დინჯად“. დაცვის მხარემ აგრეთვე მიუთითა, რომ საქმეზე უტყუარად არ იყო დადგენილი ამოღებული რვეულების ნ-----მისადმი კუთვნილების ფაქტი, ხოლო გრაფიკულ ექსპერტიზის დასკვნა არ უნდა გაეზიარებინა სასამართლოს, რადგან დასკვნაში არ იყო მოცემული კონკრეტული მაგალითები, რომელთა დაყრდნობითაც მივიდა ექსპერტი შედეგამდე, რის გამოც სასამართლოს წერილი როგორც მტკიცებულება არ უნდა მიეღო მხედველობაში.

სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, რადგან მ-----ის ჩვენებით დადგენილია, რომ მონაწილეობა მიიღო შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში რა დროსაც მიუთითა რვეულებზე, რომლებიც ეკუთვნოდა ნ-----მეს, რომლებიც ამოიღეს (პუნქტი 2.1.2.). შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, დადგენილია,

რომ საწერი მაგიდიდან ამოღებულ იქნა ნ-----ძის სასკოლო რვეულები (პუნქტი 2.1.16). ნ-----ს ბოლქვაძის ოჯახის წევრებმა დაადასტურეს, რომ ის ოთახი, საიდანაც ამოღებულ იქნა რვეულები არის ნ-----ძის (პუნქტი 2.1.1., 2.1.3., 2.1.4., 2.1.5.). სასამართლო სხდომაზე ნივთმტკიცების გამოკვლევის ეტაპზე, დეტალურად იქნა გამოკვლეული შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული რვეულები, რომელთა უმეტესობას აწერია „ნ-----ძე“ და განკუთვნილია სკოლის მოსწავლისათვის. საქმეში არ მოიპოვება არც ერთი მტკიცებულება, რაც ექვემდებარება დააყენებდა საქმეზე დართული რვეულების ნ-----ძისადმი კუთვნილების ფაქტს, რის გამოც სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებას, რომ ამოღებული რვეულები არ ეკუთვნოდა ნ-----ძეს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 14-1 მუხლით, თუ მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ან ამა თუ იმ ხელობის ექსპერტთა მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა, ასევე თუ სხეულს ან ინფორმაციის შემცველ ობიექტს აჩნევია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კვალი, ნიშან ან თავისებურება, რომლის სწორად გაგება და აღქმა სპეც-----ური ცოდნის გარეშე შეუძლებელია, ტარდება ექსპერტიზა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით ექსპერტიზა ტარდება მხარის ინიციატივით. Nგრ/1-3 გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ექსპერტი ნ-----ძე გაფრთხილებულ იქნა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე. ექსპერტმა სასამართლო სხდომაზე მიუთითა, რომ თავისუფალი და ექსპერიმენტარული ნიმუშები ვერ იქნებოდა ექსპერტიზაზე წარდგენილი, რადგან პიროვნება გარდაცვლილი იყო, ხოლო საექსპერტო კვლევისათვის წარდგენილი მასალა, დასკვნის გაცემისათვის იყო საკმარისი. ექსპერტმა ასევე დეტალურად აღწერა მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენა ექსპერტიზის ჩატარების დროს და განუმარტა დაცვის მხარეს, რომ არ იყო ვალდებული ექსპერტიზის დასკვნაში მიეთითებინა კონკრეტული ტექსტები, რომლებიც გამოიკვლია (პუნქტი 2.1.4-). სასამართლოს იზიარებს გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნას და აფასებს მას როგორც კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებას, რადგან საქმეში არ მოიპოვება არც ერთი მტკიცებულება, რომელიც საექსპერტო გახდის გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას. სასამართლო აქვე განუმარტავს დაცვის მხარეს, რომ მას ქონდა უფლება ჩაეტარებინა გრაფიკული ექსპერტიზა და წარმოედგინა იგი სასამართლოსთვის, თუმცა ამ შესაძლებლობით დაცვის მხარემ არ ისარგებლა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაცვის მხარის მხოლოდ სიტყვიერ განმარტებას, გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებლობასთან დაკავშირებით სასამართლო ვერ გაიზიარებს. რაც შეეხება დაცვის მხარის განმარტებას, რომელიც ეხება ნ-----ძის წერილის შესრულების ფორმალურ მხარეს (პუნქტი 2.2.4.2. პირველი აბზაცი), სასამართლო არ იზიარებს, რადგან სასამართლოსთვის შეუძლებელია, ტექსტის მხოლოდ ვიზუალური დაკვირვებით, იმ გარემოების დადგენა და შეფასება, თუ როგორი ემოციური განწყობით დაწერა ამა თუ იმ პირმა ტექსტი.

2.2.4.3. სასამართლო ასევე არ იზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებას, რომ ნ-----ძე შესაძლოა გამხდარიყო ოჯახში არსებული კონფლიქტის მსხვერპლი, რადგან სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა ყველა მოწმემ უარყო ასეთი ფაქტის არსებობის შესაძლებლობა. დაზარალებულის უფლებამონაცვლემ, თ-----ემ განმარტა, რომ ნ-----ძეს კარგი ურთიერთობა ქონდა ოჯახის წევრებთან (პუნქტი 2.1.1.). მ-----ემ განმარტა, რომ იგი ენდობოდა თავის შვილს, არ უშლიდა მას არაფერს, რადგან ნ----- არ საჭიროებდა

რაიმეს დაშლას და მისთვის აუხსნელია თუ რატომ არ გაანდო მას ნ----მ ეს საკითხი (პუნქტი 2.1.2.). რ-----ის ჩვენებით, ნ----ს ოჯახის წევრებთან კარგი დამოკიდებულება ქონდა (პუნქტი 2.1.3.). მოწმე რ-----ემ განმარტა, რომ ნ---- ძალიან კარგი და ნიჭიერი ბავშვი იყო. ნ----ს ოჯახი უკონფლიქტო ოჯახს, ხოლო ოჯახის წევრები მშვიდ და წესიერი ადამიანებს წარმოადგენდნენ (პუნქტი 2.1.7.). მოწმე ავ-----ის განმარტებით, ნ---- დინჯი და მოწესრიგებული ბავშვი იყო და კარგად სწავლობდა. ნ----ს მშობლები ძალიან მზრუნველები არიან და ყველას ყურადღებას აქცევდნენ (პუნქტი 2.1.8.). მოწმე ა-----ის ჩვენებით, ნ----ს ოჯახის წევრებთან და კლასელებთან ძალიან კარგი ურთიერთობა ქონდა. ნ----ს არასდროს უთქვამს, რომ ოჯახთან კონფლიქტი ქონდა (პუნქტი 2.1.10.). მოწმე ც-----მა განმარტა, რომ ნ---- გამორჩეული მოსწავლე იყო და ძალიან ბევრი მეგობარი ყავდა. ერთ-ერთი სამაგალითო მოსწავლე იყო სკოლაში. არასდროს გაუგია, რომ ნ----ს ოჯახთან კონფლიქტი ქონდა. ნ----ს ოჯახის წევრებს ძალიან თბილი დამოკიდებულება ქონდათ ერთმანეთის მიმართ (პუნქტი 2.1.1-). სასამართლო აფასებს რა მოწმეთა ჩვენებებს განმარტავს, რომ ნ----- მის ოჯახში კონფლიქტს არ ქონდა ადგილი და არ არსებული კონფლიქტი ნ-----მის თვითმკვლელობას ვერ გამოიწვევდა.

2.2.4.4. სასამართლო ასევე არ იზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებას, ნ-----მის პირადი ცხოვრების ამსახველი მტკიცებულებების კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით მოპოვების თაობაზე. დაცვის მხარე მხარეს კონკრეტულად არ მიუთითებია რომელი ნორმა დაირღვა მტკიცებულებების მოპოვების დროს. სასამართლო განმარტავს, რომ საქმეზე მოპოვებული, ნ-----მის პირადი ცხოვრების ამსახველი ყველა ჩანაწერი, მიმოწერა და ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ბრალდების მხარემ მოიპოვა კომპიუტერული სისტემიდან ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალებიდან, მოპოვებულია შესაბამისი სასამართლოს განჩინებების საფუძველზე, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, რის გამოც არ არსებობს აღნიშნულ მტკიცებულებათა დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

2.2.4.5. დაცვის მხარის პოზიციასთან დაკავშირებით, რომ მოწმეთა ჩვენებები არ არის სანდო, სასამართლო მოიხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებას მოწმეების სანდოობის შემოწმებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასადგენად აუცილებელია შეფასდეს თითოეული მტკიცებულების უტყუარობა, დამაჯერებლობა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველა შემთხვევაში სავალდებულოა განაჩენის გამოტა--ს დროს. მტკიცებულებათა უტყუარობა უნდა შეფასდეს რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: 1. თითოეული მტკიცებულება, მათ შორის მოწმის ჩვენება, შინაარსობრივად ხომ არ შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას; 2. თითოეული მტკიცებულება ამყარებს სხვა მტკიცებულებებს, თუ მათ შორის არის სხვადასხვა წინააღმდეგობა, რომელთა ხარისხის შეფასება ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენციაა; 3. რამდენად გულწრფელი და მიუკერძოებელია მოწმე, ხომ არ აქვს ფიზიკური ნაკლი, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს მოვლენების ადეკვატურ აღქმაზე; 4. როგორ პირობებში მოხდა მტკიცებულებების ფორმირება, მაგ: გარემო პირობები - ცუდი ხილვადობა (ნისლი), ხალხმრავალი ადგილი, მანძილი მოწმესა და შემთხვევის ადგილს შორის და სხვა. მტკიცებულებების ამ კრიტერიუმებით შეფასებისა და მათზე განაჩენში სათანადო მსჯელობის გარეშე მტკიცებულებათა უტყუარობის სიღრმისეული შეფასება

ფაქტობრივად შეუძლებელია. უზენაესმა სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში ამ საკითხზე ქვედა ინსტანციის განაჩენში ასახული ზედაპირული მსჯელობა მტკიცებულებებს შორის არსებული წინააღმდეგობების არაარსებით ხასიათზე არაარგუმენტირებულად მიაჩნია და მიუთითა, რომ ზოგადი მსჯელობა არ პასუხობს კანონის მოთხოვნას მტკიცებულებათა უტყუარობის შეფასების სავალდებულობის შესახებ. (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 20-5 წლის 21 აპრილის №397აპ-14 განაჩენი, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 4.)

სასამართლო აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მტკიცებულება წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს, რომელმაც შეიძლება დაადასტუროს ან უარყოს ბრალდებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი. მტკიცებულებების მეშვეობით სასამართლო ადგენს, „არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე“ (სსსკ-ის მე-3 მუხლის 2--ე ნაწილი).

სასამართლო მოიხმობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებას, რომლის მიხედვითაც, სისხლის სამართლის პროცესში დასაშვები უნდა იყოს ისეთი მტკიცებულება, რომლის სანდოობა, ზოგადად, არ იწვევს ეჭვს და, როგორც წესი, ინფორმაციის სანდო წყაროდ შეიძლება იქნეს მიჩნეული. ასე მაგალითად, ეჭვს არ იწვევს, რომ თვითმხილველი მოწმის ჩვენება, ამოღებული ნივთმტკიცებულება, ექსპერტის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება ან სხვა მსგავსი სახის მტკიცებულება ინფორმაციის სანდო წყაროს განეკუთვნება. შესაბამისად, კანონი მათ ბრალის დასადასტურებლად ვარგის და, ამდენად, დასაშვებ საშუალებად მიიჩნევა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 20-5 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე - „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2-).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სისხლის სამართლის პროცესში მოწმის ჩვენება მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ის შეიძლება იყოს ინფორმაციის ერთ-ერთი, ზოგჯერ კი ყველაზე მნიშვნელოვან-- წყარო. მოწმის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მხარეები სასამართლოში ცდილობენ წარმოაჩინონ დანაშაულთან დაკავშირებული სურათი. მოწმეს შეუძლია ამოიცნოს დამნაშავე, სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომელთა თვითმხილველი თავად იყო, დაადასტუროს ან უარყოს ინფორმაცია საქმისთვის მნიშვნელოვან ფაქტთან დაკავშირებით. მნიშვნელოვან--ა აღინიშნოს, რომ მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც მოწმის ჩვენების სანდოობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან სამართლებრივ მექა--ზმს წარმოადგენს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 20-5 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე - „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 3-).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის

საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. მტკიცებულებითი სტანდარტი - "გონივრულ ეჭვს მიღმა" საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-1 ნაწილის შესაბამისად, გა--მარტება, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტა--სათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

სასამართლო, ითვალისწინებს რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებას მოწმის ჩვენების სანდოობის შემოწმებასთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეების თ-----ის, მ-----ის, რ-----ის, თ-----ის, რ-----ის, რ-----ის, ავ-----ის, ლ-----იას, ა-----ის, ხ-----ის, ც-----ის, დ-----ის, მ-----იას, გ-----ის, დ-----მის, გ-----ის და ექსპერტთა ჩვენებები, ასევე უდავოდ მიჩნეული გამოკითხვის ოქმები, შინაარსობრივად არ შეიცავენ ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას, თითოეული მოწმის ჩვენება გამყარებულია მეორე მოწმის ჩვენებით და არ არსებობს მოტივი, რაც მათ ცრუ ჩვენების მიცემისაკენ უბიძგებს.

საქმის არსებით სხდომაზე ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შედეგად დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებების გაანალიზებით ცალსახაა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მოწმეთა ჩვენებები არ არის ურთიერთსაწინააღმდეგო. მათ მიერ გადმოცემული ინფორმაციები თანხვედრაშია საქმის არსებით სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების შედეგად უტყუარად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან. ამასთან, საგულისხმოა ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული პირების მიერ ჩამოყალიბებული პოზიციები დადასტურებულია სხვა მტკიცებულებებით, რის გამოც სასამართლო მათ მიიჩნევს უტყუარ მტკიცებულებებად.

ამდენად, სასამართლომ ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად შეისწავლა და გააანალიზა რა სასამართლო სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეული და უდავოდ ცნობილი მტკიცებულებები, შეაფასა თითოეული მათგა-- სისხლის სამართლის საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ზემოთ მიმოხილული, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებულია, განაჩენის 1.1. და 1.2. პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

3. სამართლებრივი შეფასება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანხმად, არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანხმად, მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-1- მუხლის მე-2 ნაწილის

შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2-9-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი.

სასამართლო განმარტავს, რომ პირის დამნაშავედ ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად საჭირო მტკიცებულებების უტყუარობის ხარისხი არის მაღალი. მტკიცებულებათა ერთობლიობა არ უნდა ტოვებდეს პასუხგაუცემელ კითხვებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის არსებით გარემოებებს ეჭვქვეშ დააყენებს.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებები, იდენტურად ადასტურებენ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებს. აღნიშნულ მტკიცებულებებს შორის არ არსებობს არსებითი ხასიათის წინააღმდეგობები, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მათ სანდოობას.

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეთა უფლებამოსილებას წარმოადგენს. სასამართლო კი გადაწყვეტილებას ღებულობს მხოლოდ მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.

ადამია--ს უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. ადამია--ს უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, განაჩენი უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა თავისუფალ შეფასებას, დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან. მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან. (El Masri v The Former Yugoslav Republic of Macedonia № 3963-/09, ადამია--ს უფლებათა ევროპული სასამართლოს 20-2 წლის 1- დეკემბრის გადაწყვეტილება; Hassan v The UK №29750/09, ადამია--ს უფლებათა ევროპული სასამართლოს 20-4 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-1- მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან

შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.

სასამართლო განმარტავს, რომ პირის დამნაშავედ ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად საჭირო მტკიცებულებების უტყუარობის ხარისხი არის მაღალი. მტკიცებულებათა ერთობლიობა არ უნდა ტოვებდეს პასუხგაუცემელ კითხვებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის არსებით გარემოებებს ეჭვქვეშ დააყენებს.

სასამართლო სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეული მტკიცებულებების შეფასების შედეგად, სასამართლოს მიაჩნია, რომ მ-----მა, მის მიერ განხორციელებული ქმედებით, ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 14-ე მუხლის პირველი ნაწილით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-5-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

4. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები

მ-----ს, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია.

5. სასჯელის ან სხვა ღონისძიების გამოყენების დასაბუთება

სასჯელის და--შენის დროს სასამართლო ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, ასევე ბრალდებულის პიროვნებას და მის ოჯახურ მდგომარეობას.

სასამართლო მხედველობაში იღებს მ-----ის პიროვნებას, მის მიერ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის დროს გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, რაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში გავლენას ახდენდა არასრულწლოვან ნ-----ის თავისუფალ ნებაზე, რამაც გამოუვალ მდგომარეობამდე მიიყვანა არასრულწლოვა--და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულებინა. მ-----ის მიერ ქმედებების ჩადენის დროს გამოვლენილი მყარი მართლსაწინააღმდეგო ნების, მისი გეგმაზომიერი ფსიქოლოგიური ზეგავლენის განხორციელების და არასრულწლოვა--სადმი სასტიკი მოპყრობის გათვალისწინებით, სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოც---იზაციის განსახორციელებლად, აგრეთვე, დანაშაულის მოტივისა და მიზნის, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის, დამნაშავის წარსული ცხოვრების, ქმედების შემდეგ ყოფაქცევის გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ მ-----ს ძირითადი სასჯელის სახედ უნდა დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 14-ე მუხლის პირველი ნაწილით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-5-ე მუხლის პირველი ნაწილით, გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმუმი, რადგან მხოლოდ ამ გზით მიაჩნია სასამართლოს მ-----ის რესოც---იზაციის მიზნის მიღწევა შესაძლებლად.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე, 53-ე, 59-ე, მუხლებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე, 258-ე, 259-ე, 2-0-ე, 271-ე, 27--ე, 277-ე მუხლებით,

და ა დ გ ი ნ ა

1. მ-----ი ცნობილ იქნას დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 14-ე მუხლის პირველი ნაწილით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-5-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში.

1.1. მ-----ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 14-ე მუხლის პირველი ნაწილით, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლის ვადით.

1.2. მ-----ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-5-ე მუხლის პირველი ნაწილით, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლის ვადით.

1.3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დანაშაულთა ერთობლიობით და--შნული სასჯელებიდან უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და მსჯავრდებულ მ-----ს საბოლოოდ, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლის ვადით.

1.4. მსჯავრდებულ მ-----ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გაუქმდეს, სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო და მის მიმართ სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაიწყოს მისი დაკავების დღიდან, კერძოდ 20-8 წლის 17 აგვისტოს 14:10 საათიდან.

2. საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ნივთიერი მტკიცებულების საკითხის გადაწყვეტა:

2.1. ბრტყელი თოკი , რომელიც გადაგზავნილია ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, ხელნაწერი წერილი ორ ფურცლად, ორი ცალი ლურჯი ფერის ბლოკნოტი და რვეული, ნ-----ძის კუთვნილი საწერი რვეულები, 65 ცალი DVD დისკი, ორი ცალი CD დისკი, რომელზეც არის მ-----ის მიერ ნ-----მესთან განხორციელებული ზარებისა და ინტერნეტტრაფიკების ამსახველი ინფორმაცია, რომლებიც ინახება გურიის პოლიციის დეპარტამენტში, ნ-----ძის ფრჩხილების ნიმუშები, ნ-----ძის საშოდან და უკანა ტა--დან აღებული ნაცხის ნიმუშები, ორი ცალი DVD-R დისკი, რომლებზეც ნ-----ძე არის შიშველ მდგომარეობაში, რომელიც გადაგზავნილია ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, ნ-----ძის ანკეტური მონაცემების ერთი ეგზემპლარი ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, ხოლო ერთი ეგზემპლარი, რომელიც გადაგზავნილია ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი დალუქული ერთ პაკეტად, რომელიც ინახება გურიის პოლიციის

დეპარტამენტში, დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს და შენახულ იქნას მოცემული სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

2.2. ნ-----ძის კუთვნილი "HP" ფირმის შავი ფერის პორტატული კომპიუტერი, ნ-----ძის კუთვნილი "ჰუავეის" ფირმის მობილური ტელეფონი, მასში არსებული სიმბარათით, ნ-----ძის კუთვნილი "ჰუავეის" ფირმის მობილური ტელეფონის შესანახი ყუთი, ნ-----ძის კუთვნილი "ჰუავეის" ფირმის მაჯის საათი თავისი ყუთით, რომელიც ინახება გურიის პოლიციის დეპარტამენტში, ნ-----ძის კუთვნილი მაისური, შავი ფერის აზლუდი, შავი ფერის ტრუსი, შავ ძაფზე ჩამოკიდებული ჯვარი და ხის ხ----, რომლებიც გადაგზავნილია ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, დაუბრუნდეს დაზარალებულის უფლებამონაცვლეს თ-----ეს.

2.3. ერთი ცალი საზურგია-- სკამი, ერთი ცალი უზურგო სკამი, რომლებიც გადაგზავნილი ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, განადგურდეს.

2.4. ხ-----ის კუთვნილი "სამსუნგ გალაქს ჯ-5" მოდელის მობილური ტელეფონი, მასში არსებული ორი ცალი სიმბარათით, რომელიც ექსპერტიზის ჩატარების მიზნით გადაგზავნილი საექსპერტო კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში, დაუბრუნდეს ხ-----ს.

2.5. მ-----ის კუთვნილი "HP" ფირმის პორტატული კომპიუტერი, მ-----ის კუთვნილი აიფონ 4 S ფირმის მობილური ტელეფონი, რომლებიც ინახება გურიის პოლიციის დეპარტამენტში, დაუბრუნდეს მ-----ის ოჯახის სრულწლოვან წევრს.

2.6. ც-----ის კუთვნილი "SAMSUNG GALA QS j7" მოდელის მობილური ტელეფონი, მასში არსებული სიმბარათით, რომელიც ინახება გურიის პოლიციის დეპარტამენტში, დაუბრუნდეს ც-----ს.

3. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე.

4. განაჩენის გასაჩივრება შეიძლება სააპელაციო წესით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში მისი გამოცხადებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თ-----ის რაიონული სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე

ბიძინა სტურუა



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/152

„ 31 „ ოქტომბერი 2011 წ.

გ ა ლ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ბ. სტურუას ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს
მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დაინიშნოს ბიძინა სტურუა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ, 2011 წლის 1 ნოემბრიდან.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/349

„ 28 „ ნოემბერი 2012 წ.

ბ ა ლ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ბ. სტურუას ოზურგეთის რაიონული სასამართლოს
მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, ბიძინა სტურუა გათავისუფლდეს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ, 2012 წლის 3 დეკემბრიდან.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/350

„28“ ნოემბერი 2012წ.

გ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ბ. სტურუასათვის ოზურგეთის რაიონული სასამართლოს
თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის
32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს
მოსამართლე ბიძინა სტურუას დაეკისროს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს
თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება 2012 წლის 3 დეკემბრიდან.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 4/61

„ 19 მარტი 2013წ.

ბ ა ლ ა ნ ს ყ ვ ე ბ ი ლ ე ბ ა

ბ. სტურუას ოზურგეთის რაიონული სასამართლოს
თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ზიძინა სტურუა დაინიშნოს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ, 2013 წლის 19 მარტიდან.

კონსტანტინე კუმლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/167

„ 2 „ აპრილი 201 8 წ.

გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ბ. სტურუას ოზურგეთის რაიონული სასამართლოს
თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ბიძინა სტურუა დაინიშნოს ამავე სასამართლოს თავმჯდომარედ, თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/195

„ 4 „ სექტემბერი 2019 წ.

ბ ა ლ ა ნ ყ ვ ე ბ ი ლ ე ბ ა

ბ. სტურუას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, ბიძინა სტურუა გათავისუფლდეს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, 2019 წლის 18 სექტემბრიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/208

“ 18 ” სექტემბერი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„ბ. სტურუას ოზურგეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 2 აპრილის №1/167 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„ბ. სტურუას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 4 სექტემბრის №1/195 გადაწყვეტილების საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბ. სტურუას ოზურგეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 2 აპრილის №1/167 გადაწყვეტილება.

გიორგი მიქაუტაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/310

“ 29 ” ნოემბერი 2019 წ.

ბ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ბ. სტურუასათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ბიძინა სტურუას დაეკისროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება, 2019 წლის 2 დეკემბრიდან.

გიორგი მიქაუტაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/355

“ 20 ” დეკემბერი 2019 წ.

ბ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ბ. სტურუას მცხეთის რაიონული სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, ბიძინა სტურუა გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, 2019 წლის 23 დეკემბრიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/360

" 26 " დეკემბერი 2019 წ.

გ ა ლ ა ნ უ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის
მოსამართლე ბ. სტურუას ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის
მოსამართლედ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის
30-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მცხეთის რაიონული სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ზიძინა სტურუა გამწესდეს
მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის
მოსამართლედ, 2019 წლის 27 დეკემბრიდან.

გიორგი მიქაუტაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/362

„ 26 „ დეკემბერი 2019 წ.

ბ ა ლ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ბ. სტურუას მცხეთის რაიონული სასამართლოს
თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ბიძინა სტურუა დაინიშნოს მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ 2019 წლის 27 დეკემბრიდან, 5 წლის ვადით.

გიორგი მიქაუტაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

I განხილულ საქმეთა რაოდენობა

საანგარიშო პერიოდში¹ ბიძინა სტურუას წარმოებაში არსებულ არსებითად განსახილველ საქმეთა რაოდენობამ შეადგინა 882 (აქედან 88 სისხლის სამართლის, 1 სამოქალაქო, 793 ადმინისტრაციული). არსებული 882 საქმიდან მოსამართლემ დაასრულა 176 საქმე (56 სისხლის სამართლის, 1 სამოქალაქო და 119 ადმინისტრაციული). საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოსამართლის ნაშთად დარჩენილ საქმეთა ოდენობამ შეადგინა 706.

გარდა აღნიშნულისა, საანგარიშო პერიოდში მოსამართლემ წარმოებაში მიიღო 60 სისხლის სამართლის საქმე (ბრალდებულის სასამართლოში პირველად წარდგენის სხდომის ეტაპზე) და განიხილა ყველა; დაეწერა 54 სისხლის სამართლის საქმე (წინასასამართლო სხდომის ეტაპზე), საიდანაც განიხილა ყველა; დაეწერა და განიხილა 491 შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმეზე; მოსამართლეს დაეწერა 24 სხვა ტიპის სისხლის სამართლის საქმე, საიდანაც განიხილა ყველა; მოსამართლეს აგრეთვე დაეწერა და განიხილა 2 გამარტივებული და უდავო საქმე; მოსამართლეს დაეწერა 314 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, საიდანაც განიხილა 310, ხოლო 4 დარჩა ნაშთად; აგრეთვე დაეწერა და განიხილა 18 განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

საერთო ჯამში, ბიძინა სტურუას საქმიანობა მოცემულ საანგარიშო პერიოდში უნდა შეფასდეს დადებითად. თუ მოხდება მოსამართლის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დღეების მისადაგება მის მიერ დასრულებულ არსებითად განსახილველ კატეგორიის საქმეებთან, გამოვა, რომ მან 1052 დღეში დაასრულა 176 საქმე (დღეში საშუალოდ 0,2 საქმე), ხოლო თუ ავიღებთ ყველა კატეგორიის საქმეს, მოსამართლეს 1052 დღეში დასრულებული აქვს 1135 საქმე (დღეში საშუალოდ 1,1 საქმე), რაც კარგი მაჩვენებელია.

II საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა - ვადის დაცვით 100%

საანგარიშო პერიოდში მოსამართლე ბიძინა სტურუამ არსებითად დაასრულა 176 საქმე საიდანაც ყველა დაასრულა ვადის დაცვით.

¹ შესაფასებელი საანგარიშო პერიოდი მოიცავს 1095 დღეს, საიდანაც მოსამართლე სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა 1052 დღის განმავლობაში (20 კ/დ შვებულება, ხოლო 23 კ/დ მივლინებები), შესაბამისად, წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია ასახავს მოსამართლის საქმიანობას 1052 დღის განმავლობაში.

III გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა - ვადის დაცვით 100%

საანგარიშო პერიოდში მოსამართლე ბიძინა სტურუამ დაასრულა 176 საქმე, საიდანაც ყველა საქმეზე გადაწყვეტილება მომზადდა ვადაში.

IV გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა - უცვლელი 97,9%, შეცვლილი 2,1%

საანგარიშო პერიოდში ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში განხილულ იქნა მოსამართლე ბიძინა სტურუას 33 საქმე, საიდანაც 11 დარჩა უცვლელი, 17 დაუშვებლად იქნა ცნობილი და 5 არ დაკმაყოფილდა; აგრეთვე 15 კერძო საჩივარი, საიდანაც 1 დაკმაყოფილდა, ხოლო 14 დარჩა უცვლელი.

სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე

ირაკლი გოცირიძე

^{1 1} შენიშვნა: გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებლები შესაძლოა არ დაემთხვეს უშუალოდ შესაფასებელი მოსამართლის „ამოსარჩევ საქმეთა ნუსხაში“ მითითებულ მონაცემებს შემდეგ მიზეზთა გამო:

1. შეცვლილი ან გაუქმებული გადაწყვეტილება საანგარიშო პერიოდის მიღმაა;
2. ზედა ინსტანციის ინფორმაცია ქვედა ინსტანციის სასამართლოს კანცელარიას არ აქვს მიღებული;
3. სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელად დატოვებული ან შეცვლილი გადაწყვეტილება გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში.

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭო

სერტიფიკატი

ეს სერტიფიკატი აღასტურებს, რომ

ბიძინა სტურუამ

წარმატებით ჩააბარა მოსამართლეობის
საკვალიფიკაციო გამოცდა
სამოქალაქო და ადვინისტრაციული
სამართლის სპეციალიზაციაში

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
ვალერი ცერცვაძე



რეგისტრაციის № 02-22

გამოსცემის ჩაბარების თარიღი 24.01.2009

გამოსცემის ჩაბარების ადგილი თბილისი

იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული - ბიძინა სტურუა

არის დისციპლინირებული, სტაჟირების გავლის პერიოდში იცავდა ეთიკური ქცევის წესებს. სასწავლო კურსის გავლის პერიოდში მის მიმართ არ გამოყენებულა დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიება.

პიროვნული თვისებებით იგი ხასიათდება, როგორც კომუნიკაბელური, მიზანდასახული, შრომისმოყვარე, ზრდილობიანი და მოწესრიგებული.

ადმინისტრაციული სამართლის დარგში მუშაობისას წარმატებით გაართვა თავი საპროცესო დოკუმენტების შედგენას. სამოქალაქო სამართლის დარგში მუშაობისას მსმენელმა გამოავლინა არა მხოლოდ მატერიალურ ნორმათა სიღრმისეული ანალიზის უნარი, არამედ სასამართლო პრაქტიკის ცოდნაც, რაც წარმატებით გამოიყენა გადაწყვეტილების პროექტების წერისას. სისხლის სამართლის დარგში სტაჟირების გავლისას, მსმენელმა გამოავლინა სათანადო თეორიული ცოდნა, თუმცა პირველ ეტაპზე დამოუკიდებლად უჭირდა გადაწყვეტილების მიღება.

სემინარული მუშაობის შედეგად დაიმსახურა შემდეგი შეფასება: პროცესს წარმართავს კარგად, ფლობს შესაბამის საპროცესო ნორმებს და უნარ-ჩვევებს. ფლობს გადაწყვეტილების წერის კულტურასა და შესაბამის უნარ-ჩვევებს. უმეტესწილად ქმედების კვალიფიკაციას ახდენს სწორად. მატერიალურ და საპროცესო ნორმებს იყენებს სწორად. შეიძლება დაუშვას შეცდომა, თუმცა როგორც წესი არაარსებითი.

- მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულა - 82/15
- თეორიულ გამოცდაში მიღებული ქულა - 87
- სტაჟირების გავლისას მიღებული ქულა - 74
- სკოლის დამამთავრებელი გამოცდის ქულა - 85
- რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში - მეექვსე

საერთო შეფასება:

„იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის საფუძველზე, შეფასების ყველა კრიტერიუმის შეჯერების შედეგად, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო მიიჩნევს, რომ ბიძინა სტურუა აკმაყოფილებს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

DAAD

Deutscher Akademischer Austauschdienst

Stipendienurkunde

Der Deutsche Akademische Austauschdienst ist eine gemeinsame Einrichtung der deutschen Hochschulen. Er fördert mit öffentlichen Mitteln die internationale akademische Zusammenarbeit, insbesondere den Austausch von Studierenden und Wissenschaftlern. Die Stipendien des DAAD werden auf der Grundlage von Auswahlentscheidungen unabhängiger wissenschaftlicher Kommissionen vergeben.

Im Rahmen seiner Programme verleiht der Deutsche Akademische Austauschdienst

Bidzina Sturua

ein Stipendium zur wissenschaftlichen Aus- und Fortbildung in Deutschland.

Ich beglückwünsche Sie zu diesem Stipendium und wünsche Ihnen einen erfolgreichen Aufenthalt in Deutschland. Ich hoffe, daß Sie neben Ihren fachlichen Aufgaben auch die Gelegenheit wahrnehmen werden, unser Land, seine Menschen und seine Kultur näher kennenzulernen. Ich würde mich freuen, wenn Sie auch nach Rückkehr in Ihr Heimatland weiterhin die Verbindung mit Ihren deutschen Partnern und dem DAAD aufrechterhalten würden.

Bonn, den 14.04.2004



Prof. Dr. Dr. h.c. mult. Theodor Berchem
Präsident des Deutschen Akademischen Austauschdienstes

Diese Urkunde ist rechtsgültig in Verbindung mit der Stipendienzusage des zuständigen DAAD-Referats.

DAAD

Deutscher Akademischer Austauschdienst

Stipendienurkunde

Der Deutsche Akademische Austauschdienst ist eine gemeinsame Einrichtung der deutschen Hochschulen. Er fördert mit öffentlichen Mitteln die internationale akademische Zusammenarbeit, insbesondere den Austausch von Studierenden und Wissenschaftlern. Die Stipendien des DAAD werden auf der Grundlage von Auswahlentscheidungen unabhängiger wissenschaftlicher Kommissionen vergeben.

Im Rahmen seiner Programme verleiht der Deutsche Akademische Austauschdienst

Bidzina Sturua

ein Stipendium zur wissenschaftlichen Aus- und Fortbildung in Deutschland.


Ich beglückwünsche Sie zu diesem Stipendium und wünsche Ihnen einen erfolgreichen Aufenthalt in Deutschland. Ich hoffe, daß Sie neben Ihren fachlichen Aufgaben auch die Gelegenheit wahrnehmen werden, unser Land, seine Menschen und seine Kultur näher kennenzulernen. Ich würde mich freuen, wenn Sie auch nach Rückkehr in Ihr Heimatland weiterhin die Verbindung mit Ihren deutschen Partnern und dem DAAD aufrechterhalten würden.

Bonn, den 14.04.2004



Prof. Dr. Dr. h.c. mult. Theodor Berchem
Präsident des Deutschen Akademischen Austauschdienstes

Diese Urkunde ist rechtsgültig in Verbindung mit der Stipendienzusage des zuständigen DAAD-Referats.



იუსტიციის
უმაღლესი სკოლა

სერტიფიკატი



მიეცა

ბიძინა სტურუას

მასზედ, რომ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გაიარა იუსტიციის მსმენელთა სრული სასწავლო კურსი და სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 24.10.2011 გადაწყვეტილებით ირიცხება იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში.

დირექტორი

ლაშა მალრაძე.....

დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარე

მამუკა ახვლედიანი
მამუკა ახვლედიანი

სერტიფიკატის ნომერი: 11-05-10

გაცემის თარიღი: 1 ივლისი, 2015 წელი

ს.ს.ი.პ. იუსტიციის უმაღლესი სკოლა

ს მ რ ტ ი უ ი კ ა ტ ი

მიეცა

ზოდნა სტყულის

მასზედ, რომ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში
მან გაიარა მოსამართლის თანაშემწის
სამთვიანი კომპლექსური სასწავლო კურსი და
2006 წლის 28 ივლისს ჩააბარა სასწავლო პროგრამით
გათვალისწინებული ტესტური გამოცდა.

დირექტორი

ლ.ს. შიქიძე

დავით სააკაშვილი

გაცემულია
2006 წლის

415041 ემბეკაძე

რეგისტრაციის №

063

კ რ ე ბ ს ი თ ი უ ნ ყ ი ს ი
საკანდიდატო გამოცდის ჩაბარების შესახებ

გაცემულია ბიძინა ზურაბის ძე სტურუაზე, რომ მან ჩააბარა საკანდიდატო გამოცდები შემდეგ დისციპლინებში:

№	დისციპლინის დასახელება და სპეციალობის შიფრი	შეფასება და ჩაბარების თარიღი	საგამოცდო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების გვარი, სახელი, მამის სახელი, სამეცნიერო ხარისხი, წოდება, თანამდებობა
1.	ინგლისური ენა	5 (ფრიადი), 2003 წ. 27 მაისი	ფ.მ.კ., დოც. თ. სანიკიძე (თავმჯდომარე); კომისიის წევრები: უფრ. მასწ. მ. გიგომჯილი, უფრ. მასწ. ნ. ჯიაძე, უფრ. მას. მ. კეჭერაძე
2.	გერმანული ენა	5 (ფრიადი), 2003 წ. 29 მაისი	ფ.მ.კ., დოც. თ. სანიკიძე (თავმჯდომარე); კომისიის წევრები: უფრ. მასწ. ნ. ჯიბლაძე, უფრ. მასწ. ელ. ბუტიკაშვილი
3.	სამართლის თეორია (12.00.01)	5 (ფრიადი), 2005 წ. 23 დეკემბერი	ი.მ.დ., პროფ. გ. ხუბუა (თავმჯდომარე); კომისიის წევრები: ი.მ.დ., პროფ. ი. ფუტყარაძე, ი.მ.დ., პროფ. ნ. სურგულაძე, სამართლის დოქტორი ლ. იზორია
4.	სისხლის სამართალი (12.00.08)	5 (ფრიადი), 2005 წ. 22 დეკემბერი	ი.მ.დ., პროფ. ო. გამყრელიძე (თავმჯდომარე); კომისიის წევრები: ი.მ.დ., პროფ. გ. ნაჭყებია, ი.მ.კ., დოც. ლ. სურგულაძე, ი.მ.კ., დოც. რ. გოგშელიძე, ი.მ.კ., დოც. თ. ებრაღიძე, ი.მ.კ., დოც. გ. თოდრია, ი.მ.კ., დოც. ვ. კვირიკაშვილი

კრებსითი უწყისი გაცემულია იმ მონმობების საფუძველზე, რომლებიც ინახება თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში.

თინათინ წერეთლის სახელობის
სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის
დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში

ინსტიტუტის სწავლული მდივანი



ლ. ბრეგვაძე

რ. ბაქანიძე



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 იურიდიული ფაკულტეტი
 LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
 IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
 FACULTY OF LAW

№ 13504/31-02

„11“ 10 2017

ცნობა

ბიძინა სტურუა ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის 28.09.2015 წლის №1093/01-04 ბრძანებით.

2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში რეგისტრირებული იყო იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სემესტრის სტუდენტად.

07.11.2016 წლის №1400/01-04 ბრძანების საფუძველზე შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო (მე-3 სემესტრიდან).

დეკანი



დეკანი ბურდული

სასწავლო პროცესის მართვის ჯგუფის

უფროსი სპეციალისტი

შორენა ჩარბაძე


საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატი ----- *ბიძინა სტურუას* ----- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input checked="" type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	3	5
ქულათა ჯამი	92	100

სახელი, გვარი: თეა ლეონიძე

თარიღი: 28.05.2021

თ. 

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ
პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

ბიძინა სტურუას

შეფასების დასაბუთება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹, 36³, 36⁴ მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე განვხორციელებ კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის მახასიათებლის გათვალისწინებით. ჩემი შეფასება ეფუძნება კანდიდატის მიერ წარმოდგენილ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებულ ინფორმაციას, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

ზოგადი ინფორმაცია კანდიდატზე: ბიძინა სტურუა - დაბადებული 1980 წლის 17 ივლისს, უმაღლესი იურიდიული განათლებით, მაგისტრთან გათანაბრებული (ქუთაისის აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი), მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე, ამავე სასამართლოს თავმჯდომარე. სპეციალობით მუშაობის გამოცდილება 14 წელი, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება 9 წელი.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ამ მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლები. ამ მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად ვიღებ ერთ-ერთ დასკვნას:

- ა) მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;
- ბ) მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;
- გ) მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36³ -ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება პირის - როგორც მოსამართლისა და მოქალაქის - პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის

ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ კანდიდატი ბიძინა სტურუას აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული რამოდენიმე საგზაო მოძრაობის წესის დარღვევისათვის, ყველა ჯარიმა გადახდილია დროულად. ბიძინა სტურუას მიმართ არ დაწყებულა დისციპლინური დევნა, საანგარიშო პერიოდში საქმეების განხილვის და გადაწყვეტილებათა მომზადების ვადები დაცულია სრულად, რაც მიუთითებს კანდიდატის დამოკიდებულებაზე მოვალეობების მიმართ. რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის პატიოსნებას, პრინციპულობას, შრომისმოყვარეობას, დამოუკიდებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოპოვებული მონაცემებით დგინდება, რომ კანდიდატი ბიძინა სტურუა არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან შემომწირველი, მის მიერ განხილულ იქნა საქმეები, რომელიც მოექცა მედიის ყურადღების ქვეშ, კანდიდატმა შეძლო გამოეჩინა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის დამოუკიდებლობის და პრინციპულობის შესახებ.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

მონაცემების მიხედვით კანდიდატი ბიძინა სტურუა არ ყოფილა მხარედ წარმოდგენილი. კანდიდატი ცნობილ იქნა დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეზე (სსკ-ის 366-ე

მუხლი). კანდიდატის გარეგნული იერსახე სრულად შეესაბამება მოსამართლის მაღალ თანამდებობას. კანდიდატ ბიძინა სტურუას მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

კანდიდატი ბიძინა სტურუა ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, რეკომენდატორები გამოარჩევენ მის კორექტულობას, თავდაჭერილობას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამის ქცევას და იმიჯს, მაღალ საქმიან და მორალურ რეპუტაციას, ანალიტიკურ აზროვნებას.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

5. ფინანსური ვალდებულება:

ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

კანდიდატ ბიძინა სტურუას აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და აქვს მიმდინარე სესხი, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, კანდიდატს საკუთრებაში აქვს ორი ბინა ბათუმში და ბინა თბილისში. მის კუთვნილებაშია მსუბუქი ავტომანქანა. კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით მივიჩნევ, რომ მოსამართლეობის კანდიდატი ბიძინა სტურუა სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის

კრიტერიუმის მიხედვით:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლის მნიშვნელობიდან

გამომდინარე თითოეული მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა:

- ა) სამართლის ნორმების ცოდნა - 20 ქულა;
- ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 20 ქულა;
- გ) წერის უნარი - 20 ქულა;
- დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა;
- ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - 15 ქულა;
- ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა;
- ზ) პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

1. სამართლის ნორმების ცოდნა:

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. ამ მახასიათებლით მოსამართლის შეფასების მიზნით შემფასებელი ითვალისწინებს მოსამართლის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორეს. აღნიშნული მახასიათებლით მოსამართლის შესაფასებლად შემფასებელი აგრეთვე გამოითხოვს მოსამართლის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი ბიძინა სტურუა კარგად ფლობს სამართლის ნორმებს.

კანდიდატ ბიძინა სტურუას ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის კურსები, კანდიდატმა გაიარა ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლეობის მეოთხე მრავალმხრივი სტაჟირების პროგრამა. კანდიდატის მიერ წარმოდგენილ იქნა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 14 მაისის განაჩენი, რომლის გაცნობის შედეგად გამოირკვა, რომ განაჩენი სტილისტურად აგებულია სწორად, გასაგებად. მოსამართლის მიერ სამოტივაციო ნაწილი დასაბუთებულია დეტალურად, შეფასებულია ყველა მნიშვნელოვანი მტკიცებულება. კანდიდატი ბიძინა სტურუა მტკიცებულებათა სანდოობის საიმედოობის და სიზუსტის შემოწმებისას ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებით.

კანდიდატ ბიძინა სტურუას მიერ სამართლის ნორმების ცოდნის შესაფასებლად ასევე ვიხელმძღვანელებ სტატისტიკური მონაცემებით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილებების სტაბილურობის თაობაზე, რაც შეადგენს - 97.9%;

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ბიძინა სტურუას სამართლის ნორმების ცოდნას ვაფასებ 19 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია:

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განაჩენში განსაკუთრებით გამოვარჩევი უნარს დასაბუთოს გადაწყვეტილება, ისე, რომ აღნიშნული გასაგები იყოს მხარისათვის. კანდიდატის გადაწყვეტილებებში ევროსასამართლოს და უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მოხსენებულია საჭიროებისამებრ და არ არის გადატვირთული. მის მიერ გაკეთებული განმარტებები, შესაბამისობაშია უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთან და შეესაბამებინ კანონს. მიმაჩნია, რომ კანდიდატის გასაუბრების მიმდინარეობისას მის მიერ გაცემული პასუხები იყო დასაბუთებული.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ბიძინა სტურუას სამართლებრივი დასაბუთების უნარს და კომპეტენციას ვაფასებ 18 ქულით.

3. წერის უნარი:

წერის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ, ვასკვნი, რომ აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, სასვენი ნიშნები გამოყენებულია სწორად. გადაწყვეტილება სტრუქტურულად აგებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ბიძინა სტურუას წერის უნარს ვაფასებ 18 ქულით.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი:

ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას მხედველობაში მივიღე კანდიდატის გასაუბრება, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი ინარჩუნებდა სიმშვიდეს, აზრს გადმოსცემდა გასაგებად და არგუმენტირებულად.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ბიძინა სტურუას ზეპირი კომუნიკაციის უნარს ვაფასებ 15 ქულით.

5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში:

პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯგერონად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

კანდიდატი საქმის განხილვის და გადაწყვეტილების მომზადებისას საპროცესო ვადების იცავს ზედმიწევნით, რაც ადასტურებს მის პროდუქტიულობას და სისწრაფეს, ბიძინა სტურუა ასევე ასრულებს სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას, რაც მეტყველებს მის კარგ მენეჯერულ უნარებზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ბიძინა სტურუას პროფესიულ თვისებებს, მათ შორის, ქცევას სასამართლო დარბაზში ვაფასებ 15 ქულით.

6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა:

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

კანდიდატ ბიძინა სტურუას მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სემინარში: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილების წერის ტექნიკა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და გადაწყვეტილების წერის ტექნიკა, საარჩევნო კოდექსი, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, საერთაშორისო კონფერენცია - ბუდაპეშტი, უნგრეთი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები, განაჩენის დასაბუთება, საგადასახადო დარღვევები და საგადასახადო დავები, სასამართლო მედიაცია/მორიგება და სხვა.

ბიძინა სტურუამ 2005 წელს დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თ. წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა. 2005 წელს დაამთავრა მიუნსტერის ვესტფალური ვილჰელმის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურა (გერმანია).

აღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევ, რომ კანდიდატი პრაქტიკულ საქმიანობას უთავსებს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენას, რაც ხელს უწყობს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ბიძინა სტურუას აკადემიურ მიღწევებს და პროფესიულ წვრთნას ვაფასებ 4 ქულით.

7. პროფესიული აქტივობა:

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

კანდიდატი ბიძინა სტურუა ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ 2006-2010 წლებში კანდიდატი იყო ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. 2012-2013 წლებში კითხულობდა სალექციო კურსს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი პროფესიულად არის აქტიური.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ბიძინა სტურუას პროფესიულ აქტივობას ვაფასებ 3 ქულით.

კანდიდატის საბოლოო შეფასება:

კანდიდატ ბიძინა სტურუას კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ 92 ქულას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს წევრი თეა ლეონიძე

თარიღი: 28.05.2021



საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ბიძინა სტურუას შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	96	100

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი:

28/05-2021

